

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, №3

გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

1. ადმინისტრაციული განსჯადობა
2. განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით
3. განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის აუცილებელი გარემოებების დადგენა
4. კერძო საჩივრის განსჯადობა სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე
5. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯადი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-32-32(გ-08)

26 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ლ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის - ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის დავალდე-ბულება საკადასტრო რუკის ჩანაწერის საინვენტარიზაციო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და უზუსტობის გასწორება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2005 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და მეორე მუხლები და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით რეგულირებად სამართლებრივ ურთიერთობას, რის გამოც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლის თანახმად, საქმე განსჯადობით გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას აღნიშნული საქმის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და წამოიწყო რა დავა განსჯადობის შესახებ, ლ. ს-შვილის სარჩელი მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მი-მართ თანდართულ მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ გამოიყენა საჯარო რეესტრის ეროვნული დებულების მე-2, მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნტები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2 "გ", 243 მუხლები და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დავა ფიზიკურ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რამდენადაც უძრავ ნივთებზე უფლების რეგისტრაციის განხორციელება განეკუთვნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის საჯარო უფლებამოსილებას და აღნიშნულ უფლებამოსილებას ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს საჯარო კანონმდებლობის "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ლ. ს-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს და შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე სრულიად დაუსაბუთებელია, სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რა სამართალურითიერება არსებობდა და რა მოსაზრებით მივიდა ამგვარ დასკვნამდე, რის გამოც დარღვეულია სსსკ-ის 394 "ე" მუხლის მოთხოვნები.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქმედების განხორციელების დავალდე-ბულება, კერძოდ, უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებული უზუსტობის შესწორება, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 2.1. მუხლი აკონკრეტებს საქმეებს, რომლებიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს, მათ შორის "გ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ-თიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რამდენადაც იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - ეროვნული სააგენტო) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონით, ხოლო მისი საქმიანობა, ამავე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ", "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონებით, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი არ ეფუძნება - არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობიდან (ასე მაგალითად, საკუთრების დადგენა), რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალება თანამდევი იურიდიული შედეგი იქნებოდა სარჩელის ძირითადი სამოქალაქო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის, არამედ მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნა - ადმინისტრაციული ორგანოსათვის უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებული უზუსტობის შესწორების დავალება ამ უკანასკნელის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, ლ. ს-შვილის სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. "გ" პუნქტის თანახმად, წარმოადგენს მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე, სარჩელი კი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების მოთხოვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაცია პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, არამედ ის, ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ რეალაქტსაც.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას, ასე მაგალითად, სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, ასევე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის წესი

რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმატიული აქტით - "უმრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონით, ასევე, სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომლებიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს სამოქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას - განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ ადმინისტრაციული დავების განხილვაა დაშვებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 "გ" მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-შვილის სარჩელი მოპასუხის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1162-1113(გ-07) 11 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე ლ. შ-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხის - დ. გ-შვილისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 14 აპრილს ლ. შ-შვილმა სარჩელი აღძრა ქარელის რაიონულ სასამართლოში დ. გ-შვილისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა დ. გ-შვილის სახელზე განხორციელებული საჯარო რეესტრის 2004 წლის 13 აპრილის #642 ჩანაწერის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, იგი ცხოვრობს ქ. ქარელში, ... ქ. #65-ში. ქარელის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით გაუგრძელდა მამის სამკვიდრო ქონების

მიღების ვადა, კერძოდ, ქ. ქარელში, ... ქ. #65-ში მდებარე, მოსარჩელის მამის - ი. შ-შვილის სახელზე რიცხულ სახლზე და 0,33 ჰა მიწის ნაკვეთზე.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაზე მიწის მართვის სამმართველოს მიერ უარი ეთქვა მოპასუხე დ. გ-შვილთან დავის გამო, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით, დაირღვა "მიწის რეგისტრაციის შესახებ" კანონის მოთხოვნები. 2003 წლის 13 თებერვალს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ქარელის რაიონულ სასამართლოში დ. გ-შვილის მიმართ ამ უკანასკნელის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 18 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. აღნიშნულის მიუხედავად, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, სადავო მიწის ნაკვეთი 2004 წლის 13 აპრილს დარეგისტრირდა დ. გ-შვილის სახელზე.

ამდენად, მოსარჩელემ მოითხოვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

ქარელის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. შ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. შ-შვილმა და მოითხოვა ქარელის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ივლისის განჩინებით ლ. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის სადავო სამართალურთიერთობა უნდა წესრიგდებოდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ის თუ, ვის საკუთრებას წარმოადგენს ქარელში, ... ქ. #65-ში მდებარე, აწ გარდაცვლილი ი. შ-შვილის სახელზე რიცხული სახლი და 0,33 ჰა მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რეალურად ერთმანეთს ედავებიან ფიზიკური პირები - დ. გ-შვილი და ლ. შ-შვილი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სამართალურთიერთობა არ განეკუთვნება იმ დავათა კატეგორიას, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, რის გამოც იგი სსსკ-ის 11.1 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანამოპასუხედ ადმინისტრაციული ორგანოს - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის მონაწილეობა არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის საფუძველს, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერში რა სახის ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი ან საერთოდ უნდა იქნეს თუ არა შეტანილი, დამოკიდებულია ფიზიკურ პირთა შორის არსებული დავის გადაწყვეტაზე და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენის შემდეგ იქნება ვალდებული საჯარო რეესტრი შესაბამისობაში მოიყვანოს ჩანაწერები სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ლ. შ-შვილის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 11.1, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით და მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახური წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. შესაბამისად, დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების უკანონოდ აღიარება - რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და მოცემული სამართალურთიერთობა განეკუთვნება დავათა იმ კატეგორიას, რომელთა განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნია, რომ ლ. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად

ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს და შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ყთბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე დაუსაბუთებელია, სასამართლომ სწორად არ განსაზღვრა, რა კატეგორიის დავა და რა სახის სამართალურთიერთობა იყო სახეზე და არასწორად მიიჩნია მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, კერძოდ, უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლი განსაზღვრავს საქმეებს, რომლებიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს, მათ შორის "გ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რამდენადაც იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - ეროვნული სააგენტო) არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონით, ხოლო მისი საქმიანობა, ამავე დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ", "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონებით, სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

საკასაციო სასამართლოს ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილების განხორციელება თანამდევ შედეგს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი არ ეფუძნება - არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ურთიერთობიდან (ასე მაგალითად, საკუთრების დადგენა), რადროსაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალება თანამდევ იურიდიული შედეგი იქნებოდა სარჩელის ძირითადი სამოქალაქო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის, არამედ მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნა - ადმინისტრაციული ორგანოსათვის უძრავი ნივთის სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმების დავალება ამ უკანასკნელის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, ლ. შ-შვილის სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. "გ" პუნქტის თანახმად, წარმოადგენს მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელების თაობაზე, სარჩელი კი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტი (დე ფაქტო მოქმედება, რეალური მოქმედება) არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ქმედების განხორციელების მოთხოვნით, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეალაქტის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). სწორედ ეს ნიშანი განასხვავებს ამ ინსტიტუტს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა სამართლებრივი ფორმებისაგან. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის სწორი კვალიფიკაცია პროცესუალური თვალსაზრისით წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისთვის, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვა არ შემოიფარგლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, არამედ ის, ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ რეალაქტსაც.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობას, ასე მაგალითად, სსს

კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, ასევე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ქმედების განხორციელების შესახებ, დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის წესი რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმატიული აქტით - "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონით, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომლებიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას - განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ ადმინისტრაციული დავების განხილვაა დაშვებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 "გ" მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. შ-შვილის სარჩელი მოპასუხის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-130-129(გ-08)

13 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლოთა შორის განსჯადობის საკითხი საქმეზე ე. ე-შვილის სარჩელი მოპასუხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ "ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ" ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის მისი კანდიდატურის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის ხელშეორედ განხილვის დავალების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ე-შვილმა 2006 წლის 26 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა "ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ" ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მისი კანდიდატურის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის ხელშეორედ განხილვის დავალება.

მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ იგი პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი. მონაწილეობა მიიღო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლის ივნისში გამართულ კონკურსში, თუმცა აღმოჩნდა კონკურსში გამარჯვებულთა სიის მიღმა. საკონკურსო კომისიის დასკვნა არ შეესაბამება თავდაპირველად გამოცხადებულ საკონკურსო პირობებს, გამარჯვებულად გამოცხადებული პირების (მ. ს-ავა, თ. ც-ძე) მონაცემები არ აღემატებოდა მის სამეცნიერო-რეიტინგულ მონაცემებს, საკონკურსო კომისიის ფილოსოფიის მიმართულების ქვეკომისიის წევრების სამეცნიერო-რეიტინგული მონაცემები ძალზედ დაბალი იყო იმისათვის, რომ მათ ფილოსოფიის სპეციალისტების რეალური შეფასება შეძლებოდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ე. ე-შვილის სარჩელი უსაფუძვლოდ გამო არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

კონკურსის ჩატარებისას სრულად იქნა დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესები. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ნ. ფ-ვას, ს. რ-ანის და მ. გ-შვილის (საკონკურსო კომისიის წევრები) ჩვენებებით დადასტურდა, რომ კონკურსის ჩატარებისას ყურადღება ექცეოდა კონკურსანტის პედაგოგიურ გამოცდილებას, რაშიც კონკურსში გამარჯვებულ პირებს, მოსარჩელე ე. ე-შვილთან შედარებით, უდავო უპირატესობა გააჩნდათ. ამასთან, მოწმეებმა აღნიშნეს, რომ საანკეტო მონაცემებში მოსარჩელეს არ მიუთითებია გერმანული ენის ცოდნის შესახებ, ნაშრომები კი შესრულებული ჰქონდა გერმანულ ფილოსოფიისზე. საკონკურსო კომისიამ სწორად ჩათვალა, რომ კონკურსანტს, თუ მას პრეტენზია ჰქონდა გერმანული ფილოსოფიის ნაშრომების კვლევაზე, აუცილებლად უნდა სცოდნოდა გერმანული ენა, რათა ნაშრომები დაემუშავებინა დედანში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ე-შვილმა. მისი სააპელაციო საჩივარი 2007 წლის 11 ივლისის განჩინებით განსახილველად მიიღო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ. ამავე პალატამ, 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინებით, საქმე განსჯადობით განსახილველად გადასცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლომ დადგინილად ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანების ბათილად ცნობა ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ფილოსოფიის მიმართულებით დანიშვნის ნაწილში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ე. ე-შვილის კანდიდატურის ხელახლა განხილვის დავალება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით, აგრეთვე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2007 წლის #97/01-01-07-04 ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად ჩათვალა, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სასამართლომ მიუთითა, რომ ე. ე-შვილი მუშაობდა რა სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდება არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, არამედ იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის შესაბამისად, საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოსაც წარმოადგენს, მაგრამ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, როდესაც მისი გამოცემა მოხდება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე; "საჯარო

სამსახურის შესახებ” კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ამომწურავადაა განსაზღვრული იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. შრომითი ურთიერთობები, თუ ისინი ვერ ექცეოდა “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის რეგულირების სფეროში, წესრიგდებოდა იმავე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით, რომელიც წარმოადგენს კერძოსამართლებრივ საკანონმდებლო აქტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით მოცემული საქმე განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენის მიზნით გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განისაზღვრება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები, რომელთაც არ განეკუთვნება ე. ე-შვილის სარჩელი, ვინაიდან დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ მიუთითა, რომ დავის საგანს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა (იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელის აზრით შეიზღუდა მისი კანონიერი უფლებები). აღნიშნული ბრძანებით დანიშნული იქნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობებზე, ასევე, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე, სხვადასხვა პირები, მათ შორის - ფილოსოფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე მ. ს-ავა და თ. ც-ძე. სარჩელის მიხედვით ე. ე-შვილის მოთხოვნას წარმოადგენს ასევე მისი კანდიდატურის, როგორც კონკურსში მონაწილე პირის ხელახლა განხილვა იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება საკონკურსო კომისიის დასკვნას, რომელმაც არადა-მაკმაყოფილებლად მიიჩნია მისი სამეცნიერო-რეიტინგული მონაცემები შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად.

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” კანონის მე-2 მუხლის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. ამდენად, სამართალსუბიექტურობის მიხედვით, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის ადმინისტრაციული ორგანო.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩათვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს.

სადავო სამართლებრივი აქტი გამოცემულია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობის - “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონისა და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილებათა განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების საფუძველზე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგს, რომლითაც შესაბამის თანამდებობებზე დაინიშნენ მხოლოდ კონკურსში გამარჯვებული პირები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონი, რომელიც აწესრიგებს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას. ამავე საფუძველიდან გამომდინარეობს ე. ე-შვილის სასარჩელო მოთხოვნა მისი კანდიდატურის ხელახლა განხილვის მოპასუხისათვის დავალების თაობაზე.

ამდენად, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ჩათვალა, რომ სადავო სამართალურთიერთობა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, რაც ადასტურებს საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსაზღვრის საჭიროებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ე-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალი, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კოდექსით დადგენილი საპროცესო წესებით. ამასთან, არსებითი ელემენტი, რომლის შედეგადაც დავა მიჩნეულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ, არის დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს "ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ" ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც თანამდებობებზე დაინიშნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორებად ფილოსოფიის მიმართულებით მ. ს-ავა და თ. ც-ძე, აგრეთვე, მოპასუხისათვის ე. ე-შვილის კანდიდატურის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის ხელშეორედ განხილვის დავალეობა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და იმავდროულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის დეფინიციის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. იმავე კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალია - უზრუნველყონ 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანა.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით ამტკიცებდა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით დადგენილი წესით პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანის წესს.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე გამოიკვლია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 19 მაისის #87 ბრძანება "ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის წესის დამტკიცების თაობაზე", რომლის შესაბამისად 2006 წლის ივლისში ჩატარდა კონკურსი და მისი შედეგების გათვალისწინებით გამოიკვლია სადავო 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე მიღებისას "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარებისას წარმოშობილი ურთიერთობები ატარებს საჯარო სამართლებრივ შინაარსს, ვინაიდან აღნიშნული საკანონმდებლო აქტი იმპერატიულად მიუთითებს აკადემიურ თანამდებობაზე პირის დანიშვნის შესახებ მხოლოდ ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე. კონკურსი უნდა ჩატარდეს საჯაროდ, მასში მონაწილეობის მიმღები ყველა პირისათვის თანასწორი უფლებების მინიჭებით. კონკურსანტების რეიტინგული მონაცემები, მათი ნაშრომები საკონკურსო კომისიის მიერ უნდა შეფასდეს ობიექტურად და მიღებულ უნდა იქნეს სამართლიანი გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგს, რომლითაც შესაბამის თანამდებობებზე დაინიშნენ მხოლოდ ამ კონკურსში გამარჯვებული პირები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულება და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 19 მაისის #87

ბრძანება, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას და აწესრიგებს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/411 ბრძანება შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ ელემენტებს, რის გამოც მის კანონიერების თაობაზე წარმოშობილი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ზემოთაღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე ე. ე-შვილის სასარჩელო მოთხოვნა - მისი კანდიდატურის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის ხელმეორედ განხილვის დავალების თაობაზე საჯარო სამართლებრივი შინაარსისაა და ეფუძნება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას, რის გამოც მისი საფუძვლიანობა ასევე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და მე-2 მუხლებით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ე-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-221-215(გ-08)

25 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე გ. ჭ-ულის სარჩელის გამო, მოპასუხის - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 22 აგვისტოს გ. ჭ-ულმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ეკონომიკური მიმართულებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/410 ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემა გ. ჭ-ულის კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, მონაწილეობას ღებულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ვაჭრობის ფაკულტეტზე გამოცხადებულ კონკურსში ეკონომიკის მიმართულებით, მაგრამ კონკურსის შედეგად არ მოხდა მისი კანდიდატურის შერჩევა. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ, მოსარჩელემ ვერ მიიღო კონკრეტული დასაბუთებული პასუხი იმის შესახებ, თუ რა საკონკურსო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა, არ მოხდა საკონკურსო დოკუმენტების ასლების გაცემა.

ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ კონკურსი ჩატარდა არაობიექტურად, ფარულად და დისკრიმინაციულად, კერძოდ, მოსარჩელის მითითებით, უნივერსიტეტში კონკურსი არ ჩატარებულა, საკონკურსო კომისიას ქულათა დადგენის წესიც არ გააჩნდა, მოხდა მხოლოდ სასურველი კადრების შერჩევა, რაც ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის რექტორის #86 ბრძანების, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 34-ე და შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ნოემბრის საოქმო განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაერთვნენ ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორები - კ. ა-შვილი, მ. ა-ძე, მ. ჩ-შვილი, ი. გ-ძე, ე. ლ-შვილი, ქ. ჭ-შვილი, რ. ხ-ძე, ნ. მ-შვილი, ი. გ-შვილი, ი. ნ-შვილი, ჯ. ხ-შვილი, ლ. ჭ-ძე, მ. ტ-ძე, ი. ბ-შვილი, პ. ლ-შვილი და ე. ს-შვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჭ-ულმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განჩინებით გ. ჭ-ულის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ წარმოადგენს საჯარო სამსახურს. ამასთან, "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებაში საჯარო მოსამსახურეთა შორის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორები არ არიან მოხსენიებულები, რის გამოც ისინი საჯარო მოსამსახურეებად არ ითვლებიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად ვერ იქნება გამოყენებული "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი. სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს ბრძანება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ეკონომიკის მიმართულებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე, აკადემიურ თანამდებობებზე გარკვეულ პირთა დანიშვნის შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

ადმინისტრაციული სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციული ორგანოა, დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის, რადგან აღნიშნულისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებით უნდა მოწესრიგდეს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. კონკრეტული სადავო სამართალურთიერთობა კი წესრიგდება დავის წარმოშობის დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით, რომელიც კერძო სამართლის კანონმდებლობას წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 თებერვლის განჩინებით გ. ჭ-ულის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დასადგენად, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინაარსი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოს ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომლითაც მოხდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორის თანამდებობებზე დანიშვნა, ასევე, გ. ჭ-ულის კანდიდატურის, როგორც კონკურსში მონაწილის ხელახლა განხილვა იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება საკონკურსო კომისიის დასკვნას.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ამასთან, ზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციული ორგანოა. ამდენად, სამართალსუბიექტურობის მიხედვით სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტი ადმინისტრაციული ორგანოა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს. კონკრეტულ შემთხვევაში, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 19 მაისის #86 ბრძანებით დამტკიცდა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის წესი, რომლის მიხედვით აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მომხდარიყო ღია კონკურსის საფუძველზე. ჩატარებული კონკურსით შერჩეული კანდიდატურების წარდგინების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრული პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, ასევე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე დაინიშნენ სხვა პირები.

სასამართლოს დასკვნით, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სადავო ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგს, რომლითაც შესაბამის თანამდებობებზე დაინიშნენ მხოლოდ კონკურსში გამარჯვებული პირები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, რომელიც აწესრიგებს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას. ამავე საფუძველიდან გამომდინარეობს გ. ჭ-ულის მოთხოვნა მისი კანდიდატურის საკითხის ხელმეორედ განხილვის თაობაზე.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმებით უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ გ. ჭ-ულის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან დავის საგანს წარმოადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ეკონომიკური მიმართულებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე, აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/410 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება გ. ჭ-ულის კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას სადავო ბრძანების ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევის შესახებ და ვერ დაეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკური მიმართულებით კონკურსის შედეგების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2006 წლის 4 აგვისტოს #01-02/410 ბრძანება არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. "დ" მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქმიანობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი დაწესებულება.

"საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. ბრძანებულების შესაბამისად (რომლითაც დამტკიცდა რანგირების მიხედვით საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი), განმარტავს, რომ უნივერსიტეტის პროფესორი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული დავა, რადგან დავის საგანია არა გ. ჭ-ულის, როგორც სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება, რომლის შეფასებისას არ გამოიყენება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში - შრომის კოდექსით; არამედ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკური მიმართულებით კონკურსის შედეგების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ ბრძანების კანონიერება, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო, ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300(კ-05), ნელი ხიზანიშვილის საკასაციო საჩივრისა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) მოხდენილ განმარტებას შემდეგზე, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო - ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება (იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს") მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან."

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე და აღნიშნულის საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დავა მიაკუთვნა სამოქალაქო კატეგორიას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს კომპეტენცია შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანის შესახებ მინიჭებული აქვს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის, "სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების საფუძველზე, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განსაზღვრულ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი - დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, გ. ჭ-ულის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ჭ-ულის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1079-1031(გ-07)

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

27.06.06წ. ზ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელის განმარტებით, 1986 წლის 1 აგვისტოდან მსახურობდა შეიარაღებული ძალების რიგებში, მიღებული ჰქონდა უმაღლესი სამხედრო განათლება, უფროსი ოფიცრის სამხედრო წოდება - პოლკოვნიკი და შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის 19-წლიანი სტაჟი გააჩნდა. იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, დაჯილდოებული იყო მედლით "მხედრული მამაცობისათვის". 05.05.04წ., შეიარაღებულ ძალების სწრაფი რეაგირების ძალების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად მსახურობის დროს, მის მიმართ უკანონოდ და დაუსაბუთებლად აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა და როგორც გენერალ რ. დ-ძის თანამონაწილეს, წაყენა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 307-ე და 320-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. 12.11.04წ. გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიტანა გამამართლებელი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობის გამო. მოსარჩელის განმარტებით, უკანონოდ აღძრულმა სისხლის სამართლებრივმა დევნამ მიაყენა მორალური და მატერიალური ზიანი, ვინაიდან შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. სისხლის სამართლებრივი დევნის პერიოდში პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გავრცელდა ცნობები მასზე, როგორც სამშობლოს მოღალატის შესახებ. ამავე პერიოდში უსაფუძვლოდ სამსახურიდან დაითხოვეს მისი ძმა და მეუღლე, რომლებიც მსახურობდნენ თავდაცვის სამინისტროში. სისხლის სამართლებრივი დევნის განმავლობაში თანამდებობრივად დააქვეითეს, შემდეგ უკანონოდ გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში და ბოლოს დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან, მოუსპეს პენსიაზე გასვლის უფლება, რის გამოც დარჩა საარსებო საშუალების გარეშე. მოსარჩელემ მოპასუხეებისათვის - საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროსათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის 400 000 ლარის ოდენობით დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დავალებოდა მისი უდანაშაულობისა და გამართლების შესახებ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით საპასუხო ცნობების გამოქვეყნება და მისთვის უკანონოდ წაყენებული ბრალდების გამო, საჯაროდ ბოდიშის მოხდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.10.07წ. განჩინებით ზ. კ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ "რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 14.11.97წ. #649 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 12.04.05წ. #213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებით ლიკვიდირებულ იქნა ქ. თბილისის რაიონული სასამართლო და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიებით - ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიები. სასამართლომ მიუთითა ასკ-ის მეორე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მორალური ზიანის ანაზღაურებას, გავრცელებული ცნობების უარყოფას და სახალხო

ბოდიშის მოხდას ითხოვდა წარმოდგენილი სარჩელი განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას და სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.07წ. განჩინებით ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის გამომძიებლის 05.05.04წ. დადგენილებით აღიძრა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ზ. კ-ძის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე-305-ე მუხლით და 320-ე მუხლის მე-2 ნაწილით. გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის 12.11.04წ. დადგენილებით ბრალდებულ ზ. კ-ძის მიმართ შეეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 25-307-ე და 320-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობების გამო და გაუქმდა ზ. კ-ძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის 12.11.04წ. დადგენილება ზ. კ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ წარმოადგენს ამავე კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად პირის რეაბილიტაციის საფუძველს. სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე, 221-ე, 222-ე, 225-ე და 227-ე მუხლებთან ერთად. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება და უფლების აღდგენა უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და პროცედურით და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის და ზ. კ-ძის საჩივრის განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. კ-ძის სარჩელი უნდა დაუბრუნდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა, რომელმაც, იმ მოტივით, რომ კონკრეტული დავის საგანი ასკ-ის მეორე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დავის საგანს შეესაბამებოდა, საქმე განსახილველად ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადასცა. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება უნდა განხილულიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას გადასცა საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად.

ასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო. განსჯადობის თაობაზე დავა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო, რომელსაც განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა კონკრეტული საქმე, არ გაიზიარებს საქმის გადმომგზავნი სასამართლოს მოსაზრებას საქმის განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ კონკრეტული საქმე არის არა მისი, არამედ საქმის გადმომცემი სასამართლოს განსჯადი.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს წარმოადგენდა. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქმე სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო, რითიც ფაქტობრივად დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომლითაც ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ საქმე მისი განსჯადი არ იყო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.11.07წ. განჩინების ის ნაწილი, რომლითაც ზ. კ-ძის სასარჩელო განცხადება სისხლის სამართლის საქმეთა განსჯადად იქნა მიჩნეული, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს.

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საქმეზე არ არის სასკ-ის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმე უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. კ-მის სარჩელი მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბ-696-14(ა-08)

14 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე

მ. ცისკაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ნ-მისა და ა. ნ-მის და მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის განცხადება.

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 25 ივლისს ნ. და ა. ნ-ძეებისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ხ. დ-ანმა თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა.

მოსარჩელებმა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად შემდეგ გარემოებებზე მიუთითეს: თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ისინი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იყვნენ აღიარებულნი. ამავე სასამართლოს 2000 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით კი მოსარჩელები თავიანთი წინაპრების მემკვიდრეებად იქნენ ცნობილნი, რომელთა საკუთრებასაც წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე 816,98 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ორსართულიანი სახლი ფლიგელით. აღნიშნულს 1875 წლის ჩანართი ფურცელი და 1879 წლის #3335 რეესტრით დამოწმებული სანოტარო აქტი ადასტურებდა. მოსარჩელები თავიანთ მოთხოვნებს "პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის პირველ და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტებზე ამყარებდნენ, რომლებიც მსხვერპლად აღიარებულ პირს და მის მემკვიდრეებს პირადი ნივთების დაბრუნების უფლებას აძლევდა. მოსარჩელეთა მოსაზრებით, ერთ-ერთ პირად ნივთს ზემოთ მითითებული უძრავი ქონება წარმოადგენდა, ვინაიდან იგი მათი საკუთრება იყო. მოსარჩელეთა მითითებით, ქ. თბილისის მერიამ ქონება არამართლზომიერად აღწერა, რამაც ახალი მფლობელებისა და მესაკუთრეების წარმოშობა გამოიწვია, რომელთა უფლება საჯარო რეესტრშიც იყო რეგისტრირებული. მოსარჩელეთა მოსაზრებით, აღნიშნულით მათი, როგორც კანონიერი მემკვიდრეების, უფლებები შეილახა. ნ. და ა. ნ-ძეებისა და მ. მ-შვილის თქმით, სადავო ქონება მათი საკუთრება იყო და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, იგი მათვე უნდა დაბრუნებოდათ. ამასთან, ისინი 1991 წლიდან აღნიშნულ ქონებაზე დადებული გარიგებების გაუქმებას, ქონების მათ სახელზე აღრიცხვას ან მოპასუხე "ოტელ თბილისისათვის" მათ სასარგებლოდ ქონების ღირებულების - 879500 აშშ დოლარის გადახდას, აგრეთვე, ქ. თბილისის მერიისათვის მისი სტრუქტურების მიერ ქონების არამართლზომიერი აღწერით

გამოწვეული ზიანის - 100000 აშშ დოლარის დაკისრებას მოითხოვდნენ. მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელებმა თავიანთი სასარჩელო მოთხოვნა გაზარდეს, კერძოდ, სარჩელით მოთხოვნილი ქონების ღირებულების ნაცვლად, 1531704 აშშ დოლარის ანაზღაურება ან დანგრეული სახლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა მოითხოვეს. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა ქონების ღირებულების - 1531704 აშშ დოლარის მოთხოვნაზე უარი განაცხადა, დანარჩენ ნაწილში კი თავის მოთხოვნებს მხარი დაუჭირა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელების მოთხოვნებს ქ. თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე 816,98 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნებაზე, სახლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენასა და დაბრუნებაზე, ქონების მოსარჩელეთა საკუთრებად აღრიცხვაზე უარი ეთქვათ ხანდაზმულობის გამო, ხოლო ქონებაზე 1991 წლის შემდეგ დადებული გარიგების ბათილად ცნობასა და ქ. თბილისის მერიის მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნებს უარი ეთქვა უსაფუძვლოების გამო.

ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება ნ. და ა. ნ-ძეებისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ხ. დ-ანმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებით ნ. და ა. ნ-ძეებისა და მ. მ-შვილის წარმომადგენლის - ხ. დ-ანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2008 წლის 15 იანვარს ნ. ნ-ძემ, ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ზ. ი-შვილმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და აღნიშნეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2007 წლის 29 ნოემბრისა და 19 დეკემბრის განჩინებებით შეასწორა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, კერძოდ, საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის #01-37/71 საარქივო ცნობის თარიღად 1996 წლის 21 თებერვლის ნაცვლად, მიეთითა 1996 წლის 21 აგვისტო, ასევე, გვარის - "კ-ევი" - ნაცვლად, მიეთითა გვარი - "კ-ოვი". განმცხადებლებმა მოითხოვეს ზემოხსენებული უსწორობების საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-3 აბზაცში გასწორება, კერძოდ, საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის #01-37/71 საარქივო ცნობის თარიღად 1996 წლის 21 თებერვლის ნაცვლად 1996 წლის 21 აგვისტოს მითითება, ასევე, გვარის - "კ-ევი" - ნაცვლად, გვარის - "კ-ოვი" მითითება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განჩინებით გასწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-3 აბზაცში დაშვებული უსწორობები, კერძოდ, საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის #01-37/71 საარქივო ცნობის თარიღად 1996 წლის 21 თებერვლის ნაცვლად, მიეთითა 1996 წლის 21 აგვისტო, ასევე, გვარის - "კ-ევა", ნაცვლად, მიეთითა გვარი - "კ-ოვა" და ხსენებული აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის 21.08.1996 წლის #01-37/71 საარქივო ცნობით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე სადავო ბინა, რომელიც ა-არისა და კ-ოვას საკუთრებას წარმოადგენდა, მოუვლელობის გამო, 1928 წელს კონფისკაციის გზით მუნიციპალიზებულ იქნა". ამავე პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით გასწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-3 აბზაცში დაშვებული უსწორობა და ხსენებული აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის 21.08.1996 წლის #01-37/71 საარქივო ცნობით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე სადავო ბინა, რომელიც ა-არისა და კ-ოვის საკუთრებას წარმოადგენდა, მოუვლელობის გამო, 1928 წელს კონფისკაციის გზით მუნიციპალიზებულ იქნა"; გასწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებაში დაშვებული უსწორობები და გვარის - "კ-ევა" ნაცვლად, ყველგან მიეთითა გვარი - "კ-ოვი".

2008 წლის 3 აპრილს ნ. ნ-ძემ და ა. ნ-ძისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ზ. ი-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

განმცხადებლების განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლისა და 28 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებები არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" და "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილი გარემოებები, რომლებითაც მათთვის, როგორც მხარისათვის, ცნობილი გახდა სასამართლო შეცდომის შესახებ ისეთი გარემოება, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი, სასამართლო შეცდომას აღარ დაუშვებდა და გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი შედეგის დადგომას, კერძოდ, ხსენებული განჩინებებით შესწორდა ამავე პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ არასწორად დადგენილი გარემოება - აღნიშნული განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი იყო, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის 21.02.1996 წლის #01-37/71 საარქივო ცნობით დასტურდებოდა, რომ ქ. თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე სადავო ბინა, რომელიც ა-არისა და კ-ოვას საკუთრებას წარმოადგენდა, მოუვლელობის გამო, 1928 წელს კონფისკაციის გზით მუნიციპალიზებულ იქნა. რამდენადაც ხსენებულ განჩინებაში საარქივო ცნობის გაცემის თარიღი შეცდომით იყო მითითებული, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლის განჩინებით შესწორდა საარქივო ცნობის გაცემის თარიღი, რამაც შესაძლებლობა მისცა სასამართლოს დაედგინა, რომ მითითებული დოკუმენტი (#01-37/71 საარქივო ცნობა) არ ადასტურებდა მისი მამკვიდრებელი კ-ვასათვის, მოუვლელობის გამო, 1928 წელს კონფისკაციის გზით სახლის მუნიციპალიზაციის გარემოებას, არამედ - მათთვის უცხო პირისათვის, კერძოდ, კ-ოვისათვის სახლის ჩამორთმევას, ანუ გვარი - კ-ვა მიანიშნებს მდებარეობითი სქესის ადამიანზე, რომლის გვარის ფუძეა - კ-ევი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებით დადგენილი კ-ოვი არის სულ სხვა ფუძის გვარის მქონე, რაც არ გამოდინარეობს საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის 21.08.1996 წლის #01-37/71 საარქივო ცნობიდან და საქმის სხვა მასალებიდან.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ, როგორც საქმის მასალებით არის დადგენილი, ზემოხსენებული სახლის მეორე ნახევარი იყო და-ძმების საკუთრება, კერძოდ: 1/3 იყო ა. ა-არის, 1/3 - ა. ნ-ძის (ქორწინებამდე - ა-არის), ხოლო 1/3 - ტ. ჯ-შვილის (ქორწინებამდე - ა-არის). შესაბამისად, #01-37/71 საარქივო ცნობით დადგენილია ა-ახვისათვის სახლის ჩამორთმევა, მაგრამ არ დგინდება ნ-ძისა და ჯ-შვილისათვის მისი ჩამორთმევის გარემოება, რომელთა მემკვიდრეებადაც 2000 წლის 24 ნოემბრის #2/1882 გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ ცნობილი არიან განმცხადებლები. წარმოდგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოებები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლისა და 2008 წლის 27 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოსათვის გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას რომ ყოფილიყო ცნობილი, სასამართლო არ დაუშვებდა შეცდომას და ა. ნ-ძისათვის (ქორწინებამდე ა-არის), ტ. ჯ-შვილისათვის (ქორწინებამდე ა-არის) და ე. კ-ვასათვის ამჟამად ქ. თბილისში, ... ჩიხის #3-ში მდებარე სახლის, კონფისკაციის გზით 1928 წელს ჩამორთმევის შესახებ გარემოებას ვერ დაადგენდა, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებული საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის 21.08.1996 წლის #01-37/71 საარქივო ცნობით არ დგინდება ის, რაც ამჟამად დადგენილია მათ მიერ წარმოდგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოებებით - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლისა და 27 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებებით.

განმცხადებლების განმარტებით, წარმოდგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის #3ა-343 გადაწყვეტილების უზუსტობას, კანონსაწინააღმდეგობასა და მისი გაუქმების საფუძველს, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებით არასწორად იქნა დატოვებული უცვლელად.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ 1928 წლისათვის მოქმედი ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტის დადგენილება სახლების მუნიციპალიზაციის შესახებ ითვალისწინებდა მოუვლელობის კომისიური აქტის საფუძველზე მოუვლელობის ფაქტის სასამართლო წესით დადგენას, რაც შემდეგ საფუძველად ედებოდა სახლების მუნიციპალიზაციას.

განმცხადებლები მიუთითებენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, განხადებას დაურთეს წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს, კერძოდ, როგორც წარმოდგენილი საარქივო ცნობებითაა დადგენილი, მათი მამკვიდრებლების (ა. ნ-ძის, ტ. ჯ-შვილის (ქორწინებამდე - ა-არის), ა. ა-არისა და ე. კ-ვას) სახლის მოუვლელობის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებები ზემოაღნიშნულ არქივში არ აღმოჩნდა, რაც ასევე ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული მამკვიდრებლების სახლი 1928 წელს მოქმედი ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე არ ჩამორთმევიან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004

წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებით სასამართლომ შეცდომით დაადგინა იმავე სახლის ჩამორთმევის გარემოება.

განმცხადებლების განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლისა და 27 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებები მათ რწმუნებულს ჩაჰბარდა 2008 წლის 7 მარტს. შესაბამისად, ერთიანი საპროცესო ვადის დინება დაიწყო აღნიშნული დღიდან და მთავრდებოდა 2008 წლის 8 აპრილს.

განმცხადებლები განმარტავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ, თუ განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. მათი მტკიცებით, განცხადება შემოიტანეს აღნიშნული საპროცესო ნორმის სრული დაცვით, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 გასაჩივრებელი განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის #3ა-343 გადაწყვეტილება და, რამდენადაც საკასაციო სასამართლო წარმოადგენს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციას, განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით შემოიტანეს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება განსჯადობით უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამდღვრები. ხსენებული კოდექსის 424-ე მუხლი კი ადგენს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შეიტანება გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოს განჩინებით ქვედგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, თუ გასაჩივრებელი განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ავტორი მოითხოვს საკასაციო სასამართლოს ხსენებული განჩინების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამასთან, იმ მტკიცებულებებზე მითითებით, რომლებიც უშუალოდ შეეხება საქმის შინაარსსა და ფაქტობრივ გარემოებებს, აღნიშნული განცხადება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, არამედ იმ სასამართლოს განსჯადია, რომელმაც საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, ხოლო განმცხადებლები მიუთითებენ მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ასახულ, ამ საქმის შინაარსთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ნ-ძის, ა. ნ-ძის და მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის განცხადება განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის უფლებამონაცვლე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლისა და 27 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებები არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებებს, რადგან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს განჩინებას, როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ზემდგომი სასამართლო ნაწილობრივ გააუქმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და გაუქმებულ ნაწილში თვითონ მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას, რაც მოცემულ საქმეზე სახეზე არ არის.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ნ. ნ-მემ და ა. ნ-მისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ზ. ი-შვილმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2008 წლის 15 იანვარს წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2007 წლის 29 ნოემბრისა და 19 დეკემბრის განჩინებებით შეასწორა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი, კერძოდ, საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივის #01-37/71 საარქივო ცნობის თარიღად 1996 წლის 21 თებერვლის ნაცვლად, მიეთითა 1996 წლის 21 აგვისტო, ასევე, გვარის - "კ-ვეი" - ნაცვლად, მიეთითა გვარი - "კ-ოვი". საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 თებერვლისა და 27 თებერვლის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებებით გასწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინებაში დაშვებული ზუსტად ზემოთ დასახელებული უსწორობანი, რომლებიც შეასწორდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ნოემბრისა და 19 დეკემბრის ზემოხსენებული განჩინებებით.

ამდენად, ვინაიდან საკასაციო სასამართლო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ნ-მის, ა. ნ-მის, მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის განცხადებას არ მიიჩნევს საკასაციო სასამართლოს განსჯადად, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღარ ამოწმებს აღნიშნული განცხადების დასაშვებობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. ნ-მემ და ა. ნ-მისა და მ. მ-შვილის რწმუნებულმა ზ. ი-შვილმა ასევე დააყენეს შუამდგომლობები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ მათი განცხადების საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემისა და მოსამართლე მ. ვ-მის აცილების შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ნ-მის, ა. ნ-მისა და მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის შუამდგომლობა მათი განცხადების საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება, რადგან საკასაციო სასამართლოს დასახელებული განცხადება მიაჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადად. რაც შეეხება ნ. ნ-მის, ა. ნ-მისა და მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის მეორე შუამდგომლობას მოსამართლე მ. ვ-მის აცილების თაობაზე, ხსენებული შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის #ბ-696-14(ა-08) განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და 26-ე მუხლების მე-2 ნაწილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე, 425-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ნ-მის, ა. ნ-მის და მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის განცხადება განსჯადობით გადაეგზავნოს უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. ნ. ნ-მის, ა. ნ-მისა და მ. მ-შვილის რწმუნებულ ზ. ი-შვილის შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატე-

გორის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის #ბს-501-602ა-კ-04 განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1163-1114(გ-07)

23 აპრილი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა მ. ბ-ევის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ევმა 06.11.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ქარელის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოპასუხის 02.10.06 წ. #711 წერილის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ქარელის რ-ნის სოფ. ... აწ გარდაცვლილ ვ. ბ-ევის სახელზე რიცხული უძრავი ქონების რეგისტრაციაში გატარება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 25.02.01 წ. გარდაიცვალა მისი მეუღლე ვ. ბ-ევი, რომლის დანაშთი სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა ქარელის რ-ნის სოფ. ..., 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული 154,2 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რაც დასტურდებოდა სახლის ტექნიკური პასპორტითა და სოფ. ბერეთის საკრებულოს მიერ გაცემული ცნობით. 22.09.06 წ. მ. ბ-ევმა გააკეთა საკადასტრო აზომვები და თანდართულ საბუთებთან ერთად ვ. ბ-ევის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციის მიზნით, განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურს, შემდგომში სამკვიდრო ქონების გადაფორმებისათვის, საიდანაც 02.10.06 წ. #711 წერილით რეგისტრაციის განხორციელებაზე მიიღო უარი, რომლის საფუძველი იყო ვარაუდი, ვითომდა აწ გარდაცვლილ ვ. ბ-ევსა და ყ. ს-შვილს შორის მოხდა ქონების ყიდვა-გაყიდვა, თუმცა აღნიშნული საბუთი მათთან არ იყო და არც მისი გაფორმების წელი იყო ცნობილი. ამასთან, მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული უარი იყო დაუსაბუთებელი და უკანონო, რომელიც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მის კანონიერ უფლებასა და ინტერესს.

ქარელის რაიონული სასამართლოს 02.02.07 წ. საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო ყ. ს-შვილი.

ქარელის რაიონული სასამართლოს 30.03.07 წ. გადაწყვეტილებით მ. ბ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის 02.10.06 წ. #711 წერილი მოქ. მ. ბ-ევისადმი და დაევა მას მ. ბ-ევის უძრავი ქონების რეგისტრაცია სათანადო დოკუმენტების შესაბამისად.

ქარელის რაიონული სასამართლოს 30.03.07 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ყ. ს-შვილმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.07 წ. განჩინებით ყ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულმა პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იქნეს განხილული, სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით უნდა წესრიგდებოდეს. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ქარელის რ-ნის სოფ. ... 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული 154.2 კვ.მ შენობა-ნაგებობის მესაკუთრეობა. რეალურად, ერთმანეთს ედავებიან ფიზიკური პირები: მ. ბ-ევი, რომელიც აცხადებს, რომ მის აწ გარდაცვლილ მეუღლეს - ვ. ბ-ევს ხსენებული უძრავი ქონება არ გაუსხვისებია და შესაბამისად, დანაშთი ქონება მას ეკუთვნის და ყ. ს-

შვილი, რომლის განცხადებითაც ვ. ბ-ევმა თავის დროზე მას მიჰყიდა ხსენებული უძრავი ქონება. ამრიგად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებით მოცემული სამართალური თეორია არ განეკუთვნება იმ დავათა კატეგორიას, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. შესაბამისად, აღნიშნული დავა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11.1 მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მოპასუხედ დასახელებული ჰყავდა არა ყ. ს-შვილი, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახური, რადგან საჯარო რეესტრის ჩანაწერებში რა სახის ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი ან საერთოდ იქნეს თუ არა შეტანილი, დამოკიდებულია ხსენებულ ფიზიკურ პირთა შორის არსებულ დავის გადაწყვეტაზე. მას შემდეგ, რაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, საბოლოოდ დადგინდება, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენს სადავო უძრავი ქონება, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება საჯარო რეესტრის სააგენტო ვალდებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, შესაბამისობაში მოიყვანოს საჯარო რეესტრის ჩანაწერები აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.12.07წ. განჩინებით ყ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ: სამოქალაქო, საოჯახო, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს და იურიდიულ პირებს შორის. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მეორე ნაწილით სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, "საჯარო სამართლის იურიდიული პირი" (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახური, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მოსარჩელე ითხოვდა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების უკანონოდ აღიარებას, კერძოდ საჯარო რეესტრის მიერ გაცემული წერილის ბათილად ცნობას. სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ დავის საგანი ამ შემთხვევაში გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოცემული სამართალური თეორია განეკუთვნება იმ დავათა კატეგორიას, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საპროცესო ნორმებით დადგენილი წესების მიხედვით. მართალია, ის იურიდიული ინტერესი, რაც ამ შემთხვევაში მხარეს გააჩნია (უძრავი ქონების მის სახელზე აღრიცხვა საკუთრების უფლებით) მიღწეულ უნდა იქნეს იმ სარჩელის შეტანის გზით, რასაც სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა უთითებს, მაგრამ აღნიშნული სარჩელი აღძრული არაა და შესაბამისად, ვერც მის საფუძვლიანობაზე იმსჯელებდა სამოქალაქო პალატა. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესრულებული მოქმედების არაკანონიერად აღიარება, სამოქალაქო სარჩელის არარსებობის პირობებში სამოქალაქო პალატა მასზე ვერ იმსჯელებდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ევის სარჩელი და შესაბამისად ყ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის

კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. დავა ეხება არა საკუთრების უფლების დადასტურებას, არამედ მის რეგისტრაციაში გატარებას. მ. ბ-ევს მოთხოვნა უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის განხორციელების მოთხოვნას, კერძოდ, უძრავ ნივთებზე დაქვემდებარებულ უფლებათა რეგისტრაციას, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგანს შეადგენს. მოსარჩელე მოთხოვნას ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე ამყარებს და ითხოვს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქარელის სარეგისტრაციო სამსახურის 02.10.06 წ. #711 წერილის ბათილად ცნობას და უძრავი ქონების რეგისტრაციაში გატარებას. განსახილველი დავის საგანი დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და სარჩელი აღძრულია ასკ-ის 2.1 მუხლით გათვალისწინებული საფუძველით. ამასთან, მართალია, ყ. ს-შვილსა და მ. ბ-ევს შორის სადავოა ქარელის რ-ნის სოფ. . . ., 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული 154,2 კვ.მ შენობა-ნაგებობის საკუთრების საკითხი, მაგრამ მოცემულ საქმეზე აღნიშნული დავის საგანს არ წარმოადგენს და დავა არსებობს კერძო პირს - მ. ბ-ევსა და ადმინისტრაციულ ორგანოს - ქარელის სარეგისტრაციო სამსახურს შორის, რომელიც წარმოიშვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაზე (უძრავი ქონების რეგისტრაციაზე) უარის თქმის გამო, რაც გამორიცხავს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად საქმეს წარმოადგენს. ამდენად, მესამე პირის - ყ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი განსახილველად განსჯად სასამართლოს - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა გადაეცეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ყ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

საქმე #ბს-339-327(გ-08) 13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე (საქმეზე ვ. ხ-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხის - სსიპ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის" მიმართ, მესამე პირის - დ. ძ-ძის მონაწილეობით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ).

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ვ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის

შემსრულებლის 2006 წლის 17 მაისის #179/03 ბრძანების - საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით ნაწილში ბათილად ცნობა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, შემდეგი საფუძველით:

ვ. ხ-შვილმა დ. ძ-ძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულების პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ ღია კონკურსში. 2006 წლის 17 მაისის #179/03 ბრძანებით კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვალა დ. ძ-ძე, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, სადავო ბრძანების გამოცემის დროს დაირღვა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 3.2. "თ" მუხლის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფდა უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, ხოლო ამავე კანონის 34.1. მუხლის მიხედვით, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლებოდა მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა დაფუძნებოდა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. ამავდროულად, მოსარჩელის განმარტებით, სადავო ბრძანება დაფუძნებული იყო საარჩევნო კომისიის 10 მაისის @#65 ოქმზე, რომლის შესაბამისად, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უგულვებელყოფილ იქნა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მ/შ-ის 10.03.2006 #65/03 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების შესახებ" დებულების 3.1, 3.3, 3.6, 4.1, 4.4, 4.5, 4.6, 4.8, 4.10, 4.11, 5.1, 5.2, 5.4. მუხლების მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მ/შ-ის 2006 წლის 17 მაისის #179/03 ბრძანება, საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით 0,5 საშტატო ერთეულზე სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დ. ძ-ძის დანიშვნის, აგრეთვე, ვ. ხ-შვილისათვის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის ნაწილში და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგლამენტირებული იყო სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემული იყო იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელთა საქმიანობაც ითვლებოდა საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალში არ იყო ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამდენად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არ წარმოადგენდა საჯარო სამსახურს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა არ წარმოადგენდა საჯარო თანამდებობას, ამასთან, დ. ძ-ძე და ვ. ხ-შვილი არ წარმოადგენდნენ საჯარო მოსამსახურეებს, მათზე არ ვრცელდებოდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, ხოლო სადავო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდებოდა სადავო ბრძანების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლებამოსილი სასამართლოს დასადგენად, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინაარსი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მ/შ-ის 2006 წლის 17 მაისის #179/03 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომლითაც მოხდა აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცება, ხოლო

კონკურსის ჩატარების საფუძველი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მ/შ-ის 2006 წლის 10 მარტის #65/03 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება, რომლითაც განისაზღვრა კონკურსის ჩატარების წესი. ამასთან, კონკურსი ჩატარდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რამდენადაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, რომელიც საჯარო-სამართლებრივ კანონმდებლობას განეკუთვნება.

სასამართლოს დასკვნით, განსახილველი სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გააჩნია მმართველობითი ღონისძიების განხორციელების სახეები და მათ შორისაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. კონკრეტულ შემთხვევაში, მხარე ასაჩივრებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერების შეფასების დროსაც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მაკვალიფიცირებელი ნორმების გამოყენება იქნება კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან საქმის განხილვისას უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემით ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი ფუნქციის განხორციელების ლეგიტიმურობა, რაც სცილდება სსსკ-ის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან დავის საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე, აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2006 წლის 17 მაისის #179/03 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი

საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას სადავო ბრძანების ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევის შესახებ და ვერ დაეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის შედეგების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2006 წლის 17 მაისის #179/03 ბრძანება არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. "დ" მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის თანახმად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქმიანობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი დაწესებულება.

ადინიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული დავა, რამდენადაც დავის საგანია არა მოსარჩელეთა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლების ან დანიშვნის კანონიერება, რომლის შეფასებისას არ გამოიყენება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტებს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში - შრომის კოდექსით, არამედ დავის საგანია სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, საავტომობილო ტრანსპორტის მიმართულებით, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის შედეგების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ ბრძანების კანონიერება, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო, ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებას (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300(კ-05), ნელი ხიზანიშვილის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) განმარტავს შემდეგს, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო - ადმინისტრაციული აქტის ავტორი;
2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;
3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.
4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს" / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია

კონკრეტული სამართალური თეორია მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობაზე ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე და ამგვარი მსჯელობის საფუძველზე საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დავა მიაკუთვნა სამოქალაქო კატეგორიის საქმეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს კომპეტენცია შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების დანიშვნის შესახებ მინიჭებული აქვს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის, "სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულების საფუძველზე, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონთან ერთად ეფუძნება საჯარო სამართლის შემადგენელ ნაწილს ნორმატიულ აქტს - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულებას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება "აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ" შეიცავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, შესაბამისად, მისი კანონიერების თაობაზე აღძრული სარჩელი სწორედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ექვემდებარება განხილვას.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განსაზღვრულ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალური თეორია წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალური თეორიის გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი - დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოთ მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-340-328(გ-08)

29 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 მარტს გ. ნ-მემ, ი. შ-იამ, დ. ქ-იამ, რ. დ-ონტმა, გ. ქ-იამ, რ. ა-იამ, ნ. ს-ვამ და სხვებმა (სულ 81 ფიზიკური პირმა) სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2007 წლის 9 ივლისს სს "საქპიდროენერგომშენის" გენერალურმა დირექტორმა #01-372 წერილით მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომლითაც მოითხოვა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოეხდინა მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციების საწარმოს მუშაკებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა. აღნიშნულ წერილს ერთოდა სს "საქპიდროენერგომშენის" თანამშრომელთა 2007 წლის 2 ივლისის #3 კრების ოქმი და მუშაკებზე აქციათა განაწილების სია. აღნიშნულ წერილზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2007 წლის 31 ივლისის #16/1775/6-7 წერილით გასცა პასუხი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილებით ამოღებულ იქნა აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი. ამდენად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა სს "საქპიდროენერგომშენის" შრომითი კოლექტივის მოთხოვნა.

მოსარჩელებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხი უკანონოდ მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილება გავლენას ვერ იქონიებდა, მათ სასარჩელო მოთხოვნაზე, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე იყო ვალდებული, მოსარჩელეთათვის უსასყიდლოდ გადაეცა მოთხოვნილი აქციები. "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებულ კანონს კი არ ჰქონდა უკუქცევითი ძალა და ის ვერ გავრცელდებოდა 2007 წლის 11 მაისამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე. ამდენად, მოსარჩელეთა მტკიცებით, საქმის განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მიიჩნიეს, რომ მოპასუხემ დაარღვია "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, როგორც სახელმწიფო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილმა ორგანომ 2007 წლის 31 ივლისის #16/1775/6-7 წერილით უარი განაცხადა მის კომპეტენციას მიკუთვნებული ქმედების განხორციელებაზე, რაც, მოსარჩელეთა მტკიცებით, ლახავდა მათ უფლებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მათ სასარგებლოდ სს "საქპიდროენერგომშენის" მთლიანი საწესდებო კაპიტალის აქციების 10%-ის უსასყიდლოდ გადაცემის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 მარტის განჩინებით გ. ნ-მის, ი. შ-იას, დ. ქ-იას და სხვათა სარჩელი მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აქციათა გადაცემა უკავშირდებოდა, დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებას, მესაკუთრის საწარმოს დამფუძნებლის ნების გამოვლენას, რომელსაც "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის თანახმად მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო

ქონების მართვის უფლება. ამდენად, სახელმწიფო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობდა როგორც აქციონერი, აქციათა 100%-იანი წილის მესაკუთრე. მასასადამე, სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობდა, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მოსარჩელეთათვის აქციათა გადაცემის მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება არ იყო დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან. აღნიშნული იყო დამფუძნებლის მიერ ნების გამოვლენა, რაც "მეწარმეთა შესახებ" კანონით რეგულირდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით გ. ნ-ძის, ი. შ-იას, დ. ქ-იასა და სხვათა სარჩელი მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" (ამჟამად "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ") კანონი განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებაში არსებული აქციების მოსარჩელეთათვის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, მოსარჩელები სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდნენ "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" ("სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ") კანონზე. მოსარჩელეთა მტკიცებით, მითითებულ კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც ამოღებულ იქნა აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, გავლენას ვერ იქონიებდა მათი საქმის გადაწყვეტაზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმით დადგენილი იყო საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მისი მუშაკებისათვის უსასყიდლოდ საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციების გადაცემა. აღნიშნული წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებაში არსებული აქციების პრივატიზების გზით გასხვისებას. ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა სახელმწიფოსთან პრივატიზაციიდან გამომდინარე ხელშეკრულების დადება, რაც უზრუნველყოფდა მოსარჩელეთათვის აქციების უსასყიდლოდ გადაცემას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ აქცია, როგორც ფასიანი ქაღალდი, წარმოადგენდა მისი მესაკუთრის აქტივს. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი იყო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების მათთვის გადაცემა, სადავო აქციები მიეკუთვნებოდა "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობით უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტით სახელმწიფო ქონებად განმარტებულ მატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. სახელმწიფო თავისი ქონების მართვას, მათ შორის, პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მეშვეობით "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. ამდენად, მოსარჩელები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან ითხოვდნენ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით გარიგების (ხელშეკრულების) დადებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტით განმარტებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ყველა ელემენტი, ამდენად, მოსარჩელეთა მიერ მოპასუხისაგან მოთხოვნილი იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება. ამდენად, მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალ-წარმოების წესით განხილვის შესახებ მსჯელობა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ,

ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ. აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ სს "საქპიდროენერგომშენის" მთლიანი საწესდებო კაპიტალის აქციების 10%-ის უსასყიდლოდ გადაცემის დაკისრება. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად კი მოსარჩელები მიუთითებენ "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" (ამჟამად "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ") კანონზე, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი იყო საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მისი მუშაკებისათვის საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციების უსასყიდლოდ გადაცემა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" ("სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ") კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით აღნიშნული დანაწესი წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან მის საკუთრებაში არსებული აქციების პრივატიზების გზით გასხვისებას. ამდენად, სახელმწიფოსთან პრივატიზაციიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენს, ხელშეკრულების დადება, რაც უზრუნველყოფდა მოსარჩელეთათვის აქციების უსასყიდლოდ გადაცემას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ, ვინაიდან მოსარჩელები მოითხოვენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციების მათთვის გადაცემას, სადავო აქციები მიეკუთვნება "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობით უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტით სახელმწიფო ქონებად განმარტებულ მატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. სახელმწიფო თავისი ქონების მართვას, მათ შორის, პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მეშვეობით "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. ამდენად, მოსარჩელები ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან ითხოვენ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით გარიგების (ხელშეკრულების) დადებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ მოსარჩელეთა მიერ მოპასუხისაგან მოთხოვნილია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება დაფუძნებულია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაზე, კონკრეტულ საკანონმდებლო აქტზე, კერძოდ, მოსარჩელები სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებენ "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" (ამჟამად "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ") კანონზე, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას განეკუთვნება. ამასთან, მოსარჩელები აქციათა გადაცემას მოითხოვენ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე გ. ნ-მის, ი. შ-იას, დ. ქ-იას, რ. ღ-ონტის, გ. ქ-იას, რ. ა-იას, ნ. ს-ვასა და სხვათა (სულ

81 ფიზიკური პირის) სარჩელის გამო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ მოსარჩელეთათვის სს "საქჰიდროენერგომშენის" მთლიანი საწესდებო კაპიტალის აქციების 10%-ის უსასყიდლოდ გადაცემის დაკისრების თაობაზე, წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე გ. ნ-ძის, ი. შ-იას, დ. ქ-იას, რ. ღ-ონტის, გ. ქ-იას, რ. ა-იას, ნ. ს-ვასა და სხვათა (სულ 81 ფიზიკური პირი) სარჩელის გამო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ მოპასუხისათვის სს "საქჰიდროენერგომშენის" მთლიანი საწესდებო კაპიტალის აქციების 10%-ის უსასყიდლოდ გადაცემის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ბს-312-304(გ-08) 5 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა 2005 წლის 12 აგვისტოს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ა. ი-ძის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 26 იანვარს მასა და ა. ი-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება დაცვის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, დაცვის პოლიცია იღებდა ვალდებულებას, დაეცვა ა. ი-ძე და მისი ოჯახის წევრები, ხოლო მოპასუხე იღებდა ვალდებულებას, ყოველთვიურად აენაზღაურებინა გაწეული მომსახურების ღირებულება - 2100 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზემოხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შეასრულეს, ხოლო მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტი, რის გამოც, მოპასუხეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ გააჩნდა დავალიანება - 8916,60 ლარი, მათ შორის, 516,60 ლარი ჯარიმის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 8916,60 ლარი გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 აგვისტოს განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხე ა. ი-ძის მიმართ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ "რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ"

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის #213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები - ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმებით, რადგან დავა გამომდინარეობდა მხარეთა შორის არსებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 თებერვლის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი ა. ი-ძის მიმართ, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ არასწორად იქნა განსაზღვრული სარჩელის განხილვის წესი სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის დადგენილი ნორმებით და იგი განხილული უნდა ყოფილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამდენად, საქმე უნდა გადაეგზავნოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის განსახილველად უმთავრესი იყო სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითი იყო დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას. სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოეყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ისე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამოჯვანა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის ამოსავალს არ წარმოადგენს, რადგან შესაძლებელია ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, დაიცვას ა. ი-ძე და მისი ოჯახის წევრები, ხოლო მოპასუხის ვალდებულებაა, გადაიხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია გაირკვეს, დადებულია თუ არა ხსენებული ხელშეკრულება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განსახორციელებლად, თუ მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ მიზნით აღნიშნული უწყება ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაცვას. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება, რომლითაც მისი ძირითადი ამოცანები არ შეცვლილა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე, კერძო პირების ხელშეკრულების საფუძველზე დაცვა ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო პირდაპირ ფუნქციას. ამ შემთხვევაში კი დაცვის

პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოითხოვა სადავო თანხის ანაზღაურება, რის გამოც იგი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.

ზემომოყვანილი დასკვნების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა მთლიანად გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. სასამართლომ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისთვის გადაუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტდა საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სამართლებრივი საფუძვლებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამოიყვანა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, დაიცვას ა. ი-მე და მისი ოჯახის წევრები, ხოლო მოპასუხე ა. ი-მის ვალდებულებას წარმოადგენს, გადაიხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება - თვეში 2100 ლარის ოდენობით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის

მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით, თუ - მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ დაცვის პოლიციის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. იმავე მუხლის მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიცია ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის #90 ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, ძალადაკარგულად ჩაითვა საჯარო სამართლის პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დაცვის პოლიციის წესდება და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ამ დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის უფლებამოსიანი. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო პირების ხელშეკრულებების საფუძველზე, დაცვა ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხის ანაზღაურებას, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსარჩელას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება უნდა განხილულიყო, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებული დავებიც განიხილებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სადავო ურთიერთობაში არ ახორციელებდა კანონით მინიჭებულ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელის გამო ა. ი-ძის მიმართ, წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხე ა. ი-ძის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-531-509(გ-08)

10 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე (საქმეზე მ. ქ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხის - სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის მიმართ, მესამე პირების: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ე. გ-იას მონაწილეობით, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმისა და დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ).

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების განცობის შედეგად გამოარკვია:

მ. ქ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის მიმართ, მესამე პირების: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ე. გ-იას მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის #10 სხდომის ოქმისა და ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნების თაობაზე, ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის დადგენილების ბათილად ცნობა, შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელე სკოლის დირექტორის კანდიდატის სტატუსით მონაწილეობას იღებდა საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნებში. 2007 წლის 7 ივლისის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ ჩატარდა კენჭისყრა, რომლის საფუძველზეც სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორად არჩეულ იქნა ე. გ-ია. მოსარჩელის აზრით, ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის დადგენილება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, ვინაიდან "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 37-ე მუხლის თანახმად, სკოლის სამეურვეო საბჭო უნდა შემდგარიყო არანაკლებ 7 წევრისაგან. ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო კი შედგებოდა 6 წევრისაგან. ასევე, გაურკვეველი იყო ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველი, კერძოდ, რა ნიშნით აირჩია სამეურვეო საბჭომ სკოლის დირექტორად ე. გ-ია, მაშინ, როცა მას არასოდეს უმუშავია ხელმძღვანელ თანამდებობაზე და არ ჰქონია შეხება სკოლასთან. მოსარჩელის განმარტებით, იგი 2006 წლის დეკემბრიდან ასრულებდა სკოლის დირექტორის მოვალეობას. ამდენად, მისთვის გაურკვეველი იყო, რით იხელმძღვანელა სამეურვეო საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეურვეო საბჭოს მიერ დარღვეულ იქნა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის წესი, რამდენადაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი არ შეიცავდა მისი გასაჩივრების წესს, ვადასა და ადგილს, ასევე, იმ ორგანოს დასახელებას, სადაც უნდა გასაჩივრებულიყო იგი. ამდენად, სადავო აქტები - ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის #10 სხდომის ოქმი და ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნების თაობაზე ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის დადგენილება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, რის გამოც აღნიშნული აქტები ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-ძემ, რომლითაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო პალატამ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2. მუხლი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს

ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სასამართლოს დასკვნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო არ წარმოადგენდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2. „ა“ მუხლით რეგლამენტირებულ ადმინისტრაციულ ორგანოს ან პირს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებდა საჯარო უფლებამოსილებას. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იყო სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემული იყო იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებშიც საქმიანობაც ითვლებოდა საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალი მოხსენიებული არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო.

სასამართლოს დასკვნით, განსახილველი დავა სამართლებრივად არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და იგი სსსკ-ის 11.1. „ა“ მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეზღვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინაარსი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის #10 სხდომის ოქმისა და 2007 წლის 7 ივლისის დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორად არჩეულ იქნა ე. გ-ია.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 42.1. მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შერჩეული დირექტორის კანდიდატურას წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ირჩევს დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რამდენადაც დავის საგანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის #10 სხდომის ოქმისა და 2007 წლის 7 ივლისის დადგენილების ბათილად ცნობა, რომლითაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის დირექტორად არჩეულ იქნა ე. გ-ია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული სასამართლოს მსჯელობას, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2."ა" მუხლით რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიცია, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური ან რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ საჯარო სკოლებში კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის 42.1. მუხლის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას არჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შერჩეული დირექტორის კანდიდატურას წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ირჩევს დირექტორს სიითი შემადგენლობის უმარავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო დირექტორის არჩევნების ოქმებსა და სამეურვეო საბჭოს დადგენილების დამოწმებულ ასლებს წარადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სარეგისტრაციოდ. არჩევნების შედეგები ძალაში შედის აღნიშნული დოკუმენტების სამინისტროში რეგისტრაციის მომენტიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილით - "ზოგადი განათლების შესახებ" კანონითაა განსაზღვრული სკოლის დირექტორის კონკურსის წესით არჩევის პროცედურა, სწორედ მითითებული კანონმდებლობით რეგულირდება დირექტორის არჩევის წესი და პირობები, ხოლო სამეურვეო საბჭო, რომელიც კონკურსის წესით ირჩევს სკოლის დირექტორს სიითი შემადგენლობის უმარავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, რაც მას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2 "ა" მუხლის ბოლო წინადადების თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსს ანიჭებს, რამდენადაც ეს უკანასკნელი არის პირი, რომელიც საჯარო კანონმდებლობის "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, ანუ არსებობს კანონის საფუძველზე საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირება სამეურვეო საბჭოსათვის, რაც ემსახურება განათლების სისტემაში მმართველობის კანონიერებისა მიუკერძოებლობის პრინციპის რეალიზაციას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგარეჯოს რ-ნის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის #10 სხდომის ოქმი და 2007 წლის 7 ივლისის დადგენილება წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის "ზოგადი განათლების შესახებ" კანონით რეგულირებული კონკურსის შედეგს, სწორედ აღნიშნული კონკურსის საფუძველზე ხდება სკოლის დირექტორის თანამდებობაზე გამარჯვებული კანდიდატის არჩევა. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის ადმინისტრაციული ორგანო, სამართალურთიერთობა ემყარება საჯარო, ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, რის გამოც მოცემული საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო, ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებას (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300(კ-05), ნელი ხიზანიშვილის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რ-ნის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) განმარტავს შემდეგს, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო - ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება (იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს") მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამეურვეო საბჭოს კონკურსის შედეგად სკოლის დირექტორის კანდიდატის შერჩევა მინიჭებული აქვს "უმადლესი განათლების შესახებ" კანონით, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2007 წლის 7 ივლისის #10 სხდომის ოქმის და 2007 წლის 7 ივლისის დადგენილება შეიცავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, შესაბამისად, მისი კანონიერების თაობაზე ადრული სარჩელი სწორედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ექვემდებარება განხილვას.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი - დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი ადრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, მ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-687-659(გ-08) 22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და წალენჯიხის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე (საქმეზე შ. ქ-იას წარმომადგენლის - ზ. ჯ-ავას სარჩელისა გამო, მოპასუხის - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ).

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

შ. ქ-იას წარმომადგენელმა ზ. ჯ-ავამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა: წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების მიერ 2006 წლის 27 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული, ქ. ჯვარში, ... ქუჩაზე მდებარე სანტექნიკური სახელოსნოს შენობის და მასზე დამაგრებული 7388 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის ნაწილში 2006 წლის 26 აპრილს გამართული აუქციონის #4 ოქმისა და მისგან გამომდინარე შედეგების ბათილად ცნობა; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსს - გ. კ-იასა და ნ. წ-იას შორის წალენჯიხის რ-ნის ქ. ჯვარში, ... ქუჩაზე მდებარე სახელოსნოს შენობასა და მიწაზე 2006 წლის 23 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ნოტარიუს გ. კ-იას მიერ 2006 წლის 1 მაისს რეესტრში #1-92-ით რეგისტრირებული სანოტარო აქტის ბათილად ცნობა; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსს გ. კ-იასა და ნ. წ-იას შორის 2006 წლის 2 მაისს გაფორმებული სანტექნიკური სახელოსნოს მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსს - გ. კ-იასა და ნ. წ-იას სახელზე 2006 წლის 2 მაისს გაცემული სანტექნიკური სახელოსნოს საკუთრების დამადასტურებელი #51-/06-ა მოწმობის ბათილად ცნობა; წალენჯიხის რ-ნის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 10.000 ლარის დაკისრება მორალური ზიანის საკომპენსაციოდ; შპს "ვიქტორიასაგან" მის უკანონო გამგებლობაში არსებული, შ. ქ-იას კუთვნილი ქონების დაბრუნება ან შპს "ვიქტორიასათვის" მის სასარგებლოდ 91.300 ლარისა და 3.000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში დაკისრება, შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის განმარტებით, წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის განყოფილების უფროსმა გ. კ-იამ მოითხოვა სანტექნიკური სახელოსნოს შენობის საპრივატიზაციო ნუსხაში შეყვანა, რაც განხორციელდა, რის შემდეგაც გ. კ-იამ 2006 წლის 14 მარტს დაუშვა #20 ბრძანება სანტექნიკური სახელოსნოს საპრივატიზაციოდ მომზადებასთან დაკავშირებით კომისიის შექმნაზე. აღნიშნული კომისიის შემადგენლობის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად იქნა გამოყენებული, რამდენადაც სანტექნიკური სახელოსნოს შენობა მიწის ფართობთან ერთად უკანონოდ შეფასდა 32.037 ლარად, მაშინ, როცა ობიექტის ღირებულება შეადგენდა 101.129 ლარს. კომისიის მიერ შედგენილი უკანონო შეფასების აქტის საფუძველზე 2006 წლის 26 აპრილს გამართულ აუქციონზე ეს შენობა მიწის ფართობთან ერთად 32.037 ლარად მიყიდა მოქალაქე მ. წ-იას. კომისიის წევრებმა თავიანთი მოქმედებით ჩაიდინეს სსკ-ის 332.3. "ა" მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანტექნიკური სახელოსნოს შენობისა და მიწის პრივატიზაციის ნაწილში, 2006 წლის 26 აპრილს გამართული აუქციონის #4 ოქმი, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტი, ექვემდებარება ბათილობას, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება კანონს, ვინაიდან დარღვეულია ზაკ-ის 60¹.1 მუხლით გათვალისწინებული მისი მომზადებისა და გამოცემის წესი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინებით შ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების მიერ 2006 წლის 27 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ქ. ჯვარში, ... ქუჩაზე მდებარე სანტექნიკური სახელოსნოს შენობის და მასზე დამაგრებული 7388 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზაციისა და 2006 წლის 26 აპრილს გამართული აუქციონის #4 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინებით სასარჩელო განცხადება - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს - გ. კ-ისა და ნ. წ-ის შორის წალენჯიხის რ-ნის ქ. ჯვარში, ... ქუჩაზე მდებარე სახელოსნოს შენობასა და მიწაზე 2006 წლის 27 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს გ. კ-ისა და ნ. წ-ის შორის 2006 წლის 2 მაისს გაფორმებული სანტექნიკური სახელოსნოს მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს გ. კ-ისა და ნ. წ-ის სახელზე 2006 წლის 2 მაისს გაცემული სანტექნიკური სახელოსნოს საკუთრების დამადასტურებელი #51-/06-ა მოწმობის ბათილად ცნობის, წალენჯიხის რ-ნის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 10,000 ლარის მორალური ზიანის საკომპენსაციოდ ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით დაექვემდებარა უფლებამოსილ სასამართლოს - წალენჯიხის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა - ნოტარიუს კ-ის მიერ 2006 წლის 1 მაისს რეესტრში #1-92-ით რეგისტრირებული სანოტარო აქტის ბათილად ცნობისა და შპს "ვიქტორიას" მიმართ მის უკანონო გამგებლობაში მყოფი შ. ქ-ის კუთვნილი ქონების დაბრუნების ნაწილში, განსჯადობით გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს - წალენჯიხის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს განმარტებით, ასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ აღნიშნული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, ხოლო ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებული საქმეები განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით. ამავე კანონის 3.2 მუხლის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც განეკუთვნება მისი საქმე.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ასკ-ის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების, აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის თაობაზე.

სსსკ-ის მე-11 მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის, რის გამოც, სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა წალენჯიხის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

წალენჯიხის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, ხოლო სარჩელის - მოპასუხე შპს "ვიქტორიას" მიმართ მის მფლობელობაში არსებული ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში, სასამართლო წარმოებაში მიღების საკითხი გადაწყდა საერთო წესების შესაბამისად, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ მოპასუხეებად მიჩნეულია - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შპს "ვიქტორია" და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა. დავის საგანს წარმოადგენს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების მიერ დადებული კანონსაწინააღმდეგო გარიგებები და ქმედებები. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არის პასუხისმგებელი მისი ტერიტორიული ორგანოს უკანონო ქმედებებზე, ტერიტორიულ ორგანოს არ გააჩნია სასამართლო დავებში მონაწილეობის უფლება და სასარჩელო მოთხოვნებიც სწორედ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ არის აღძრული. იმავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან არსებობს რამდენიმე

მოპასუხე, მოსარჩელე იყენებს მისთვის სსსკ-ის მე-20 მუხლით მინიჭებულ უფლებას და სარჩელს წარადგენს ერთი-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 86.1 "ბ" მუხლი და განმარტა, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სასარჩელო მოთხოვნები განომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან. ამასთან, ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს მოთხოვნები რამდენიმე მოპასუხის მიმართ. სარჩელის მიღების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, გაერთიანებული სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოეყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა. ასევე, სსსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, მხარე თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს და თვითონ იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის თაობაზე, მხარე თავად მიუთითებს მოპასუხეს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მის მიერ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნაზე.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ სარჩელში ერთ-ერთ მოპასუხედ მითითებულ იქნა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შესაბამისად, სარჩელი წარდგენილ იქნა სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, სსსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის გარეშე, სარჩელი განსჯადობით გადაგზავნილ იქნა წალენჯიხის რაიონულ სასამართლოში.

სასამართლოს დასკვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასების შედეგად, არასწორად იქნა გამოყენებული ასკ-ის 26-ე მუხლით განსაზღვრული საპროცესო მოქმედება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის რ-ში ტერიტორიული ორგანო არ გააჩნია. ამავე სამინისტროს მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის #1-1/24 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს დებულება. აღნიშნული დებულების 1.2 მუხლის თანახმად, სამხარეო სამმართველო განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, მათ შორის, წალენჯიხაში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს და მითითებულ რაიონებში სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების სამართალმემკვიდრეს, რომლის ადგილსამყოფელი მდებარეობს ქ. ფოთში. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა - შპს "ვიქტორიას" მიმართ, მის მფლობელობაში არსებული ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ის განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების რეესტრში #1-92-ით რეგისტრირებული სანოტარო აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას, ვინაიდან მას არ გააჩნია სარჩელის მოთხოვნისათვის დამახასიათებელი საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და წალენჯიხის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შ. ქ-იას სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯად დავას წარმოადგენს და, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, სასამართლომ ისე მიიჩნია დავა წალენჯიხის რაიონული სასამართლოს, როგორც ტერიტორიულად განსჯადი სასამართლოს განსახილველად, რომ არ გაუთვალისწინებია საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი წესები, რის გამოც დარღვეულია სსსკ-ის 394. "ე" მუხლის მოთხოვნები.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოთა შორის განსჯადობაზე სადავოს შ. ქ-იას შემდეგი მოთხოვნები წარმოადგენს: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს - გ. კ-იასა და ნ. წ-იას შორის წალენჯიხის რ-ნის ქ. ჯვარში, ... ქუჩაზე მდებარე სახელოსნოს შენობასა და მიწაზე 2006 წლის 27 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს გ. კ-იასა და ნ. წ-იას შორის 2006 წლის 2 მაისს გაფორმებული სანტექნიკური სახელოსნოს მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროს - გ. კ-იასა და ნ. წ-იას სახელზე 2006 წლის 2 მაისს გაცემული სანტექნიკური სახელოსნოს საკუთრების დამადასტურებელი #51-/06-ა მოწმობის ბათილად ცნობა, წალენჯიხის რ-ნის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის 10,000 ლარის მორალური

ზიანის საკომპენსაციოდ ანაზღაურების დაკისრება, ნოტარიუს კ-იას მიერ 2006 წლის 1 მაისს რეესტრში #1-92-ით რეესტრირებული სანოტარო აქტის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს წალენჯიხის რაიონული სასამართლოს მსჯელობას და იზიარებს საპროცესო ნორმების მართებულად გამოყენება-განმარტების საფუძველზე ჩამოყალიბებულ პროცესუალურ-სამართლებრივ დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს, მოპასუხე მხარეს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალი არიან, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში, მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილ-სამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახავს პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86.1 "ბ" მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სასარჩელო მოთხოვნები განომდინარეობს ერთი და იმავე საფუძველიდან. ამასთან, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს მოთხოვნები რამდენიმე მოპასუხის მიმართ. სარჩელის მიღების

შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, გაერთიანებული სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა სსსკ-ის 182.3 მუხლის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სარჩელზე ერთ-ერთ მოპასუხედ მითითებულ იქნა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შესაბამისად, სარჩელი წარდგენილ იქნა სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით სსსკ-ის 20-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ თუკი მიიჩნია, რომ სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე დავის საგანი არ იყო მიმართული ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ, უნდა განეხორციელებინა შესაბამისი საპროცესო მოქმედება სსსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. საქალაქო სასამართლოს არ დაუდგენია ერთ-ერთი მოპასუხის (რომლის არსებობისას ეს სასამართლო ხდება განსჯადი სასამართლო სსსკ-ის 20-ე მუხლის მიხედვით, ალტერნატიული განსჯადობა) ადგილსამყოფელი, მოსარჩელისათვის არ შეუთავაზებია არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლის საკითხი, მისი თანხმობით ეს საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, რის შედეგადაც საქალაქო სასამართლო აღარ იქნებოდა ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო, აღნიშნული ძირითადი საპროცესო მოქმედებების შესრულების გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი განსჯადობით გადააგზავნა წალენჯიხის რაიონულ სასამართლოში, რაც სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, შემდეგს: იმ პირობებში, თუ თბილისის საქალაქო სასამართლო მიიჩნევდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, ამ უკანასკნელს სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე, მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შემთხვევაში შეეძლო საქმე განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის, ხოლო იმ პირობებში, როცა სასამართლოს ამგვარი საპროცესო მოქმედებები არ შეუსრულებია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს წალენჯიხის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წალენჯიხის რ-ნში ტერიტორიული ორგანო არ გააჩნია. ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის #1-1/24 ბრძანებით დამტკიცდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამეგრელო-გურია-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს დებულება. აღნიშნული დებულების 1.2. პუნქტის თანახმად, სამხარეო სამმართველო განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, მათ შორის, წალენჯიხაში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს და არის მითითებულ რაიონებში სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების სამართალმემკვიდრე, სამეგრელო-გურია-სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს იურიდიული მისამართი კი არის ქ. ფოთი, ... ქუჩა #7, რის გამოც წალენჯიხის რაიონული სასამართლო არ წარმოადგენს ტერიტორიულად განსჯად სასამართლოს მოცემულ მოთხოვნებზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს წალენჯიხის რაიონული სასამართლოს დასკვნას, რომ სასარჩელო მოთხოვნა - შპს "ვიქტორიას" მიმართ მის მფლობელობაში არსებული ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ის განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არსებობს კერძოსამართლებრივი ურთიერთობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების რეესტრში #1-92-ით რეგისტრირებული სანოტარო აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას, რამდენადაც აღნიშნული სანოტარო აქტით დამოწმებულ იქნა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ ადმინისტრაციული ხელშეკრულება. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას მითითებულ ნაწილში არ გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული საფუძველი და თანამდევი შედეგია ძირითადი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წალენჯიხის რაიონული სასამართლოს მიერ სწორად იქნა შეფასებული საქმის მასალები, სასამართლომ მართებული შეფასება მისცა იმ გარემოებას, თუ რა სამართალურთიერთობა არსებობდა. ამდენად, შ. ქ-იას სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შ. ქ-იას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოთ მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ბს-241-235(გ-08)

23 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა შპს "ინტერპოლიგრაფის" წინააღმდეგ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 18.06.02წ. შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ხელშეკრულება გააფორმა მოპასუხე ორგანიზაციასთან. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, დაცვის პოლიციას უნდა დაეცვა შპს "ინტერპოლიგრაფის" დირექტორი. აღნიშნული მომსახურების ყოველთვიურ ღირებულებას შეადგენდა 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების 2.2 და 4.1 პუნქტები. მოპასუხეს დაცვის პოლიციის მიმართ გააჩნდა 6062.41 ლარის დავალიანება. მოსარჩელემ შპს "ინტერპოლიგრაფისათვის" მითითებული დავალიანების ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.08.05წ. განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველი დავა წარმოშობილი იყო მხარეთა შორის გაფორმებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან. ასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.01.08წ. განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე მოითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილებას, დადებული იყო 18.06.02წ., დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა, ხელშეკრულებების ფარგლებში, მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ მიზნით იგი ახორციელებდა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაცვას. საქართველოს პრეზიდენტის 09.07.04წ. #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიცია, დამტკიცდა მისი წესდება, რომლითაც მისი ძირითადი ამოცანები არ შეცვლილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო პირების ხელშეკრულებების საფუძველზე დაცვა წარმოადგენდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო ფუნქციას. დაცვის დეპარტამენტი ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და ამ მიზნით იყო დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვდა სადავო თანხების ანაზღაურებას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას. სასკ-ის 2.2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სავალდებულო ნიშანს ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივი მიზნის გარდა შეადგენს აგრეთვე ხელშემკვერი მხარის სტატუსი. მოსარჩელე - შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სზაკ-ის მე-2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით არის ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე, კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის გადამწყვეტი გარემოება ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

კონკრეტულ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, დაიცვას შპს "ინტერპოლიგრაფის" გენერალური დირექტორი, ხოლო მოპასუხე შპს "ინტერპოლიგრაფის" შემხვედრი ვალდებულებას, გადაიხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება, თვეში 150 აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით ლარებში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დაცვის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია გაირკვეს, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით თუ მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას 18.06.02წ. არის დადებული. შინაგან საქმეთა მინისტრის 03.02.99წ. #50 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება. მითითებული დებულების 1-ლი პუნქტის თანახმად, არის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებელი, სტრუქტურული, გასამხედროებული სამართალდამცავი ორგანო, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და მისი დანაყოფები მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ერთობლივი საწარმოებისა და უცხოური ფირმების, სააქციო საზოგადოებების, მშენებლობების, მოიჯარე, საბიუჯეტო, სამეურნეო ანგარიშზე ან თვითდაფინანსებაზე მყოფ კომერციულ, პრივატიზებულ და სხვა სახის ობიექტებს, ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ახორციელებენ ყველა სახის მატერიალურ ფასეულობათა, მოძრავი ტვირთების შეიარაღებულ დაცვას, ფულადი სახსრების ინკასაციას და კანონით ნებადართული სხვა სახის დაცვითი საქმიანობის შესრულებას მატერიალური პასუხისმგებლობით, ან უამისოდ, ზემოხსენებული ობიექტების დაცვითი-სახანძრო და საგანგაშო სიგნალიზაციით აღჭურვას და მათ ტექნიკურ მომსახურებას. საქართველოს პრეზიდენტის 09.07.04წ. #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა, რომ დაცვის პოლიციის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით დაცვის პოლიცია ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. საქართველოს პრეზიდენტის 18.02.05წ. #90 ბრძანებულებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 09.07.04წ. #261 ბრძანებულებით დამტკიცებული მისი წესდება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა დეპარტამენტის დებულების დამტკიცება. შინაგან საქმეთა მინისტრის 23.03.05წ. ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის 1-ლი მუხლით განისაზღვრა, რომ დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 09.07.04წ. #261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლე. ამავე დებულების მე-2 მუხლის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით დეპარტამენტი ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო პირების ხელშეკრულების საფუძველზე დაცვა ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციულ ორგანოს ჩვეულებრივ წარმოემოხა ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების მოვალეობა. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების დადების შედეგად მოსარჩელეს დაეკისრა საჯარო ქმედების, კერძოდ "დამქირავების" დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის (ხელშეკრულების 2.7 პუნქტი), "პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების (ხელშეკრულების 2.8 პუნქტი) ვალდებულება და სხვ., რის გამოც იგი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხე შპს "იტერპოლიგრფის" მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-648-620(გ-08)

24 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 9 დეკემბერს ი. გ-მემ სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, რუსთავის საქალაქო სასამართლო განიხილავდა საქმეს ი. გ-ის სარჩელის გამო, მოპასუხე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის - მიწის ნაკვეთის გამოთხოვის შესახებ. მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი და თანდართული მტკიცებულებები, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულება, დადებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და ბ. გ-ელს შორის, ასევე ბ. გ-ელის სახელზე შედგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა. აღნიშნული მტკიცებულებებიდან ირკვეოდა, რომ ამ კომპანიამ შეიძინა #394 450 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილი - 431,64 კვ.მ. წარმოდგენილ საკადასტრო რუკაზე დატანილი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სამშენებლო დერეფანი და იმის მიხედვით, თუ რა ფართობი ესაჭიროებოდა ხსენებულ კომპანიას სამშენებლო დერეფნისთვის, შეიძინა იგი. აღნიშნული საკადასტრო რუკის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი იმავე სამშენებლო დერეფანში საერთოდ არ მოჰყვა და თუნდაც გაეწეოდა მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე ამ სამშენებლო დერეფანს, იგი სულ გადაკვეთდა დაახლოებით 1,3 კვ.მ-ს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკადასტრო რუკის საფუძველზე, დარეგისტრირდა 431,64 კვ.მ მიწის ნაკვეთი ხსენებული კომპანიის სახელზე, ხოლო ბ. გ-ელს დაურეგისტრირდა დარჩენილი 18,36 კვ.მ მიწა, რაც არასწორი იყო, რადგან ზემოხსენებულ საქმეზე სასამართლოს მიერ ჩატარებული ადგილზე დათვალიერების დროს მოწვეულმა სპეციალისტმა - გეოდეზისტ-ტოპოგრაფმა განახორციელა გადაზომვა საჯარო რეესტრში არსებული რუკით (შედგენილი 1994 წელს), რომლითაც მოხდა მიწების დანაწილება და რომელიც წარმოადგენდა საწყის რუკას (დედას), რომლითაც გაირკვა მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა და დადგინდა, რომ სამშენებლო დერეფანმა მოსარჩელის მიწის ნაკვეთი გადაკვეთა და შეადგინა 90 კვ.მ (მიწის ნაკვეთი #286, საკადასტრო რუკაზე - #341). აღნიშნული იმას ნიშნავდა, რომ საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ საკადასტრო რუკაზე დაშვებული იყო უხეში შეცდომა, რადგან მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობა შეცვლილი იყო. რეალურად, ბ. გ-ელს მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მეზობლად საკუთრებაში გააჩნდა 450 კვ.მ მიწის ნაკვეთი და იგი გადაკვეთა სამშენებლო დერეფანმა, მაგრამ იმავე საკადასტრო რუკაზე დაშვებული შეცდომის გამო, 90 კვ.მ არასწორად იყო დატანილი ნახაზზე და გამოდიოდა, რომ ხსენებულმა კომპანიამ მოსარჩელის მიწის ნაკვეთის ნაწილი - 71,64 კვ.მ-ით შეიძინა ბ. გ-ელისაგან, ხოლო ბ. გ-ელს დარჩა 18,64 კვ.მ ფართობი, რომელიც ასევე მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენდა.

მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საკადასტრო რუკაზე დაშვებული შეცდომის გამო, მისი მიწის ნაკვეთი განკარგა, გაასხვისა ბ. გ-ელმა და იგი შეიძინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ, აღნიშნული გარიგება კი ეწინააღმდეგებოდა კანონს, რადგან დარღვეული იყო მოსარჩელის, როგორც მესაკუთრის, უფლებები. საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერი და საკადასტრო რუკა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს და ზიანს აყენებდა მას როგორც მესაკუთრეს, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსს, რადგან ხელყოფდა მის საკუთრების უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და ბ. გ-ელს შორის #394 მიწის ნაკვეთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ - 71,64 კვ.მ ფართობის ნაწილში ბათილად ცნობა; #394, #395 (#342) მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრიდან 2004 წლის 23 იანვრის ამონაწერისა და ბ. გ-ელის სახელზე გაცემული საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის სახელზე #394 (#342) მიწის ნაკვეთზე გაცემული საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; #395 (#342) მიწის ნაკვეთზე ბ. გ-ელის სახელზე გაცემული საჯარო რეესტრიდან ამონაწერისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმომავალი არსებული საქმის, ი. გ-ის სარჩელის გამო, მოპასუხე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის - მიწის ნაკვეთის უკან გამოთხოვის შესახებ და მოცემული სარჩელის გამო საქმის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, ერთ წარმომავალ გაერთიანება, რადგან მათი გაერთიანებით დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდებოდა.

ი. გ-მემ დაზუსტებული სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და ბ. გ-ელს შორის #394 მიწის ნაკვეთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ - 71,64 კვ.მ-ის ნაწილში ბათილად ცნობა; #394, #395 (#342) მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და ბ. გ-ელის სახელზე გაცემული საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის სახელზე #394 (#342) მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; #395 (#342) მიწის ნაკვეთზე ბ. გ-ელის სახელზე საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურისთვის ზუსტი ჩანაწერების ხელახლა რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკების შედგენის დავალაბა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 თებერვლის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავდა საერთო განსჯადობის წესს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. ძირითადი მოპასუხე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის იურიდიული მისამართი იყო ქ. თბილისი, ... ქუჩა #38, ასევე, ქ. თბილისში იყო თანამოპასუხე ბ. გ-ელის საცხოვრებელი ადგილიც.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 თებერვლის განჩინებით, საქმე ი. გ-ძის სარჩელის გამო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო იყო არაგანსჯადი სასამართლო, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთზე უფლებასთან დაკავშირებული დავები შეიძლება შეტანილიყო სასამართლოში უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით იქნა მიღებული სარჩელი წარმოებაში, ხოლო იმავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევს უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 თებერვლის განჩინებით ი. გ-ძის სასარჩელო განცხადება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იმავე კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, სარჩელი შეიძლება შეტანილიყო სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეებს წარმოადგენდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია, ბ. გ-ელი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახური, რის გამოც რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა განსჯად სასამართლოს, რამდენადაც სარჩელი წარდგენილ იქნა ერთ-ერთი მოპასუხის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახური) იურიდიული მისამართის მიხედვით, მით უფრო, რომ სადავო მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონება) მდებარეობდა ქ. რუსთავში. შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა განსჯად სასამართლოს იმ შემთხვევაშიც, თუ მოსარჩელის მიერ სარჩელი წარდგენილ იქნა უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, ხსენებული კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს არჩევს უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს, რაც ამ შემთხვევაში განხორციელდა მოსარჩელე ი. გ-ძის მიერ რუსთავის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით განიხილებოდა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. რამდენადაც მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომელიც დადებული იყო კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირს შორის და წარმოადგენდა სამოქალაქო გარიგებას, საქმე ამ ნაწილში უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და მასზე ვრცელდებოდა სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ნორმები, რის გამოც მითითებული მოთხოვნის მიმართ დაუშვებელი იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენება.

2005 წლის 22 თებერვალს ი. გ-ძის წარმომადგენელმა ვ. ტ-ძემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას და მოითხოვა საქმის, ი. გ-ძის სასარჩელო განცხადების გამო, მოპასუხეების - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ და საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის შესახებ და საქმის,

ი. გ-მის სასარჩელო განცხადების გამო, მოპასუხე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, ერთ წარმოებად გაერთიანება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 თებერვლის განჩინებით ი. გ-მის წარმომადგენელ ვ. ტ-მის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის განჩინებით დადგინდა მოცემული საქმის განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25-26 იანვრის გადაწყვეტილებით ი. გ-მის სარჩელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 25-26 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტმა ასევე მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 დეკემბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც დადგინდა ამ საქმის განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

აპელანტმა აღნიშნა, 2005 წლის 6 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მიღებულ იქნა განჩინება, რომლითაც დადგინდა, რომ საქმე უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რაც უკანონო იყო, რადგან გასაჩივრებული იყო არა მარტო ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ საჯარო რეესტრის ჩანაწერებიც, რომელთა რეგისტრაცია მოხდა მოპასუხე კომპანიისა და რაც მთავარი იყო, მოპასუხე სარეგისტრაციო სამსახურის შეცდომით, ანუ გასაჩივრებული იყო სარეგისტრაციო სამსახურის ქმედება და მისგან ითხოვდა რეგისტრაციის სწორად განხორციელებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმე განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ და მოცემული საქმე ამ ნაწილში უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ი. გ-მის წარმომადგენელმა მ. პ-მამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა: ბ. გ-ელის სახელზე საჯარო რეესტრის მიერ #394 და #395 მიწის ნაკვეთების საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობის, ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერის რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკის შედგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის გამოყოფა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისადმი დაქვემდებარება; ბ. გ-ელსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას შორის დადებული 2006 წლის 26 იანვრის ხელშეკრულების ნაწილობრივ და მისგან გამომდინარე შედეგების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნებზე სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა ი. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მისი სარჩელი შედეგობდა 3 სასარჩელო მოთხოვნისაგან: რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2004 წლის 23 იანვრის ორი უზუსტო ჩანაწერისა და უზუსტო საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; #394 მიწის ნაკვეთზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და ბ. გ-ელს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა 71,64 კვ.მ-ს ნაწილში; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურისათვის შესაბამისი ზუსტი ჩანაწერების ხელახლა რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკების შედგენის დავალება. აღნიშნულ მოთხოვნათაგან პირველი მათგანის სამართლებრივი საფუძველი იყო მითითებული ჩანაწერების შეუსაბამობა ქ. რუსთავის მერიის #47-22/14.04.92 განკარგულებასა და ამ განკარგულების საფუძველზე შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკასთან, იგი მიმართული იყო მოპასუხეების - რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურისა და ბ. გ-ელის მიმართ, ანუ აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე მოთხოვნას, რის გამოც მასზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იყო საგნობრივად არაგანსჯადი სასამართლო. მოსარჩელის მესამე მოთხოვნაც, რომელიც უმეტესწილად გამომდინარეობდა მისი პირველი მოთხოვნიდან, მიმართული იყო რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ - შეიცავდა ამ სამსახურისათვის საკადასტრო რუკების შედგენის დავალებას. ამ შემთხვევაში არ შეიძლება იმავე სამსახურს ავტომატურ რეჟიმში დავალებოდა, ცვლილებები შეეტანა შესაბამის ჩანაწერში, თუ დადგინდებოდა, რომ რეგისტრირებული სანივთო უფლების საფუძველი - ნივთზე დადებული ხელშეკრულება იყო უკანონო, უსწორო და ბათილი. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მესამე მოთხოვნას,

მასზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო მისი სხვა მოთხოვნების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის გარეშე.

საჩივრის ავტორის - ი. გ-მის წარმომადგენელმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის სხდომაზეც მიუთითა ზემოაღნიშნულ სამ სასარჩელო მოთხოვნასა და განსჯადობასთან დაკავშირებულ მოსაზრებაზე. იმავე სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის წარმომადგენელი არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ხსენებულ მოსაზრებას განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით #28-1212-06 სამოქალაქო საქმეზე აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობის ნაწილში განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმის მასალების მიხედვით, დადგინილად მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2005 წლის 21 თებერვლის განჩინებით განიხილა დავა განსჯადობის შესახებ ი. გ-მის სარჩელის გამო, მოპასუხეების - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურისა და ბ. გ-ელის მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ადმინისტრაციული აქტების (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა) ბათილად ცნობის შესახებ და იგი განსჯადობის შესაბამისად, გადაუგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, ამასთან, მიუთითა, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმომადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომელიც დადებული იყო კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირს შორის და წარმომადგენდა სამოქალაქო გარიგებას, რომელიც რეგულირდებოდა სამოქალაქო კანონმდებლობით და მასზე ვრცელდებოდა სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ნორმები, რის გამოც ამ ნაწილში დაუშვებელი იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ აპელანტის (მოსარჩელე) მოთხოვნა, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობასთან ერთად, შეეხებოდა, აგრეთვე, საჯარო რეესტრის ჩანაწერებისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობას, იმ საფუძველზე, რომ საჯარო რეესტრმა ჩანაწერების რეგისტრაცია განახორციელა შეცდომით, ანუ იგი ასაჩივრებდა საჯარო რეესტრის ქმედებას და მისგან ითხოვდა სწორი რეგისტრაციის განხორციელებას. აპელანტის (მოსარჩელე) აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობდა არა პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან, არამედ წარმომადგენდა საჯარო-სამართლებრივ დავას ფიზიკურ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახური) შორის, იგი გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და მიმართული იყო განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახური) ქმედებისკენ, სწორი რეგისტრაციის განხორციელების მოთხოვნით. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგანი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება, კერძოდ, მის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შეუსაბამობა ქ. რუსთავის მერიის #47-22/14.04.92 განკარგულებასა და ამ განკარგულების საფუძველზე შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკასთან, რასაც პროცესუალურად პასუხობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს წარმომადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გააჩნდა მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების შემდეგი სახეები - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში მხარე ასაჩივრებდა რეალაქტს, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებას, რომლის შეფასებისასაც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მაკვალიფიცირებელი ნორმების გამოყენება იქნებოდა კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან სასამართლოს საქმის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცია იმისათვის, თუ რამდენად ლეგიტიმური იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის ქმედება. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტის (მოსარჩელე) მოთხოვნა წარმომადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დავას და იმის მხედველობაში მიღებით, რომ აღნიშნული დავის განსჯადობაზე უკვე იმსჯელა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2005 წლის 21 თებერვლის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე უნდა გადაეგზავნოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს, რომ 2004 წლის 9 დეკემბერს ი. გ-ის მიერ რუსთავის საქალაქო სასამართლოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ აღძრული სარჩელი არის კომბინირებული ხასიათის - შეიცავს სამ სასარჩელო მოთხოვნას, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნებია: რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2004 წლის 23 იანვრის უზუსტო ჩანაწერებისა და უზუსტო საკადასტრო რუკის ბათილად ცნობა; ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერის რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკის შედგენის დავალება; #394 მიწის ნაკვეთზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიასა და ბ. გ-ელს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა 71,64 კვ.მ-ს ნაწილში, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის სასამართლოებს შორის დავა განსჯადობის შესახებ, კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ იმსჯელა და 2005 წლის 22 თებერვლის განჩინებით გადაწყვიტა ი. გ-ის სასარჩელო განცხადების, როგორც ტერიტორიული, ისე საგნობრივი განსჯადობა - ი. გ-ის სასარჩელო განცხადება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ იმავე განჩინებაში მიუთითა, რომ, რამდენადაც მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომელიც დადებული იყო კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირს შორის და წარმოადგენდა სამოქალაქო გარიგებას, საქმე ამ ნაწილში უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და მასზე ვრცელდებოდა სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ნორმები, რის გამოც მითითებული მოთხოვნის მიმართ დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენება. ამდენად, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2005 წლის 22 თებერვლის განჩინებით მიიჩნია, რომ მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა - ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა - უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განსჯადობის თაობაზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული სავალდებულო მითითების მიუხედავად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2005 წლის 6 დეკემბრის განჩინებით დაადგინა მოცემული საქმის განხილვა ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. რუსთავის საქალაქო სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 თებერვლის განჩინების მოტივაცია, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში იყო საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე ი. გ-ემ მოცემული დავის განსჯადობა სადავოდ გახადა სააპელაციო საჩივარშიც და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული იყო არა მარტო ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ საჯარო რეესტრის ჩანაწერებიც, რომელთა რეგისტრაცია განხორციელდა მოპასუხე კომპანიისა და რაც მთავარია, მოპასუხე სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შეცდომით, ანუ გასაჩივრებული იყო სარეგისტრაციო სამსახურის ქმედება და მისგან ითხოვდა რეგისტრაციის სწორად განხორციელებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოცემული საქმე ამ ნაწილში უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ი. გ-ის წარმომადგენელმა მ. პ-იამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა: ბ. გ-ელის სახელზე საჯარო რეესტრის მიერ #394 და #395 მიწის ნაკვეთების საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობის, ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერის რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკის შედგენის დავალების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის გამოყოფა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისადმი დაქვემდებარება; ბ. გ-ელსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას შორის დადებული 2006 წლის 26 იანვრის ხელშეკრულების ნაწილობრივ და მისგან გამომდინარე შედეგების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნებზე სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტამდე. ამდენად, ი. გ-ის წარმომადგენელმა მ. პ-იამ სააპელაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მისი მარწმუნებლის - ი. გ-ის სასარჩელო მოთხოვნების დიფერენცირება მათი საგნობრივი განსჯადობის მიხედვით, ანუ ადმინისტრაციული კატეგორიის სასარჩელო მოთხოვნების ცალკე წარმოებად გამოყოფა და მათი უფლებამოსილი სასამართლოსათვის - ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის განსახილველად გადაცემა, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების

ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებული საქმის გადაწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მიუხედავად ი. გ-ძის წარმომადგენელ მ. პ-ის ზემოხსენებული შუამდგომლობისა, რომელიც შეესაბამება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 თებერვლის განჩინების მოტივაციას საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ისე გამოიტანა 2008 წლის 18 მარტს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო და უცვლელად დატოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება, რომ არ განიხილა ი. გ-ძის წარმომადგენელ მ. პ-ის აღნიშნული შუამდგომლობა.

ი. გ-ძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგინილ საჩივარშიც გახადა სადავოდ მისი სასარჩელო მოთხოვნების განსჯადობა. მიუხედავად ი. გ-ძისა და მისი წარმომადგენლის ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა და შუამდგომლობისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ისე გადააგზავნა აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობის, ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერის რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკის შედგენის დავალების ნაწილში განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში, რომ არ განუხილავს ხსენებული შუამდგომლობა და შესაბამისად, არც უმსჯელია ამ შუამდგომლობაში მითითებული სასარჩელო მოთხოვნების ცალკე გამოყოფასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისადმი მათ დაქვემდებარებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი - დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას 2008 წლის 18 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად არ განუხილავს ი. გ-ძის სააპელაციო საჩივარი და შესაბამისად, მოცემული საქმე და ხსენებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ აპელანტის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელ საპროცესო საფუძველზე, რის გამოც საჩივრის ავტორმა - ი. გ-ძემ მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა, მათ შორის, რაც მთავარია, იმ საფუძველით, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე მის შესაბამის სასარჩელო მოთხოვნებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იყო საგნობრივად არაგანსჯადი სასამართლო. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს ამავე პალატის 2008 წლის 18 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე ი. გ-ძის საჩივარში ამ ნაწილში განსჯადი სასამართლოს შესახებ მოყვანილი საფუძველების მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დღეისათვის სასამართლოთა შორის დავა განსჯადობის შესახებ არ არსებობს, რის გამოც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ი. გ-ძის სარჩელისა გამო საქმე საჯარო

რეესტრის ჩანაწერებისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობის, ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერის რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკის შედგენის დავალების ნაწილში ამ ეტაპზე უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად და შემდგომში საქმის ამ ნაწილში განსჯადი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადასაგზავნად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის, ბ. გ-ელისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ი. გ-ძის სარჩელისა გამო საქმე საჯარო რეესტრის ჩანაწერებისა და საკადასტრო რუკის ბათილად ცნობის, ამ თვალსაზრისით, ზუსტი ჩანაწერის რეგისტრაციისა და ზუსტი საკადასტრო რუკის შედგენის დავალების ნაწილში ამ ეტაპზე დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად და შემდგომში საქმის ამ ნაწილში განსჯადი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადასაგზავნად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-718-690(გ-08) 18 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 29 ოქტომბერს ქ. ლ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით ქ. ლ-ძის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და მოსარჩელე აღდგენილ იქნა თანამდებობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, თანამდებობაზე დარუნებისას მან 2002 წლის 15 ნოემბრიდან 2005 წლის 14 ივლისამდე იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა. შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალის სანიტარული ინსპექციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგზაო ცენტრის ბუღალტერიამ მოსარჩელეს აუნაზღაურა იძულებითი განაცდური 840 ლარის ოდენობით, თუმცა მოსარჩელის მტკიცებით, მას მიუღებელი დარჩა კუთვნილი ხელფასიდან დანაკლისი 294 ლარი, ვინაიდან მისი ხელფასი შეადგენდა 30 ლარს, ხოლო მას ხელფასი 20 ლარის ოდენობით გამოეწერა, რაც მოსარჩელემ უკანონო მიიჩნია და განმარტა, რომ არ არსებობდა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა მისი ხელფასის შემცირება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას დამატებითი შემოსავლის სახით ასევე მიუღებელი ჰქონდა 1120 ლარი, რომელიც წარმოადგენდა მის დისლოკაციაში არსებულ საზედამხედველო ობიექტებიდან სანიტარული ინსპექციის სალაროში ნაღდ ანგარიშზე გადახდილ თანხას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ კუთვნილი ხელფასიდან დანაკლისის - 294 ლარის, დამატებითი შემოსავლის - 1120 ლარისა და დაკავებული თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის - 2440,60 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 თებერვლის საოქმო განჩინებით სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში არასათანადო მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზა" შეიცვალა სათანადო მოპასუხე ფინანსთა სამინისტროთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით ქ. ლ-ის სარჩელი მოპასუხე ფინანსთა სამინისტროს მიმართ შრომითი ანაზღაურების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულს, ან ბრალდებულს უნდა აღუდგეს უფლებები (რეაბილიტირებულ უნდა იქნეს), თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. ლ-მე მუშაობდა შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალის კომუნალური განყოფილების სანიტარული ექიმის თანამდებობაზე. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 22 ნოემბრის განაჩენით, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა ჯარიმა 100 დღიური ანაზღაურებით 200 ლარის ოდენობით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ერთი წლით, ჯარიმა 50 დღიური ანაზღაურებით 100 ლარის ოდენობით. სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით საბოლოოდ, ქ. ლ-მეს განესაზღვრა ჯარიმა 200 ლარის ოდენობით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით ერთი წლით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ ქ. ლ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მის მიმართ შეწყვეტილ იქნა სისხლის სამართლის საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდებოდა, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა ანაზღაურდებოდა ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად კი ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა ანაზღაურდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საფინანსო ორგანოების მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა სახელმწიფოს მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ქ. ლ-ის განმარტებით, რამდენადაც მის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მან ვერ მიიღო კუთვნილი შრომითი ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილებოდა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად კი, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანს ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ, რამდენადაც ქ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის საგანს წარმოადგენდა იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოიხატებოდა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო მიუღებელ შრომით ანაზღაურებაში, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ, ამდენად, ქ. ლ-ის სარჩელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა დამატებითი შემოსავლის - 1120 ლარის ანაზღაურების ნაწილში წარმოადგენდა დამატებით შემოსავალს ხელფასის სახით, ქ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა 1120 ლარის ანაზღაურების ნაწილში განხილული უნდა ყოფილიყო სახელფასო დავალიანებასთან ერთად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, საქმე ხსენებულ ნაწილშიც განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით ქ. ლ-ის სარჩელი მოპასუხე ფინანსთა სამინისტროს მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით ქ.

ლ-მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის თანახმად, რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი ანაზღაურდებოდა სრული მოცულობით, მათ შორის, ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, აგრეთვე ანაცდენი სარგებელი, რაც საფინანსო ორგანოების მიერ ანაზღაურდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ, მართალია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი ითვალისწინებდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის შესაბამისად ასეთად კანონის მიერ მიჩნეული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თუმცა მხოლოდ ხსენებული ნორმები არ ქმნიდა რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით კონკრეტულად იყო განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისას, მაშინ, როდესაც ზიანი მიყენებული იყო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, რასაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ, როგორც თავად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, დავის განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებული იყო რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მხოლოდ ის გარემოება, რომ პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე უნდა დაკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს, არ შეიძლება მიჩნეულიყო დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველად. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე, 222-ე, 223-ე, 227-ე მუხლები, რომლებიც რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და დარღვეული უფლების აღდგენის წესსა და პროცედურას ადგენდა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და რეაბილიტაციის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ ქ. ლ-მის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად, ვინაიდან მას არ გააჩნდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი, კერძოდ, დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ. ლ-მის სარჩელი არის კომბინირებული ხასიათის - შეიცავს სამ სასარჩელო მოთხოვნას, კერძოდ, კუთვნილი ხელფასიდან დანაკლისის - 294 ლარის, დამატებითი შემოსავლის სახით 1120 ლარისა და დაკავებული თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის - 2440,60 ლარის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით ქ. ლ-მის სარჩელი მოპასუხე ფინანსთა სამინისტროს მიმართ შრომითი ანაზღაურების ნაწილში გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო იმავე სასამართლოს 2008 წლის 17 მარტის საოქმო განჩინებით საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა დამატებითი შემოსავლის - 1120 ლარის ანაზღაურების ნაწილში წარმოადგენდა დამატებით შემოსავალს ხელფასის სახით, ქ. ლ-მის სასარჩელო მოთხოვნა 1120 ლარის ანაზღაურების ნაწილში განხილული უნდა ყოფილიყო სახელფასო დავალიანებასთან ერთად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, საქმე ხსენებულ ნაწილშიც განსჯადობით განსახილველად გადაგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. ლ-მისათვის კუთვნილი ხელფასიდან დანაკლისისა და დამატებითი შემოსავლის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ. აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოვულობით ანაზღაურდება. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა ანაზღაურდეს ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი, ხოლო ხსენებული მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს, რომ ხელფასი ან სხვა შემოსავალი, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საფინანსო ორგანოების მიერ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომლის დაკონკრეტება ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც მითითებითი ხასიათისაა და ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დედგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის, ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და რეაბილიტაციის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ ქ. ლ-მის სასარჩელო მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად, ვინაიდან მას არ გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი, კერძოდ, დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. ლ-მის სასარჩელო მოთხოვნის ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობა, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლი, რომლებითაც ასევე განსაზღვრულია ხსენებული დავის სუბიექტი - სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანს ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე ქ. ლ-მის სარჩელის გამო ფინანსთა სამინისტროს მიმართ კუთვნილი ხელფასიდან დანაკლისისა და დამატებითი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე ქ. ლ-ძის სარჩელის გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ კუთვნილი ხელფასიდან დანაკლისისა და დამატებითი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-901-867(გ-08)

13 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივრების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე დაცვის პოლიციის დეპარტამენტს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 24270.96 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, დაკმაყოფილდა მოპასუხისათვის 17100 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, ხოლო - 7170,96 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩირეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და შპს "საქართველოს რკინიგზამ".

აპელანტი - შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო განცხადება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილება.

მეორე აპელანტი - შპს "საქართველოს რკინიგზა" სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილების, მოსარჩელისათვის - 17100 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეცა სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. 2.2 და 2.3 პუნქტების შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით განიხილება, ასევე, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე და სხვა საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელთა გადაწყვეტაც ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, კონკრეტულ საქმეზე დავის საგანი ერთმნიშვნელოვნად არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. გამომდინარე იქიდან, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები, დავა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და იგი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 "ა" მუხლის შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამასთან, დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რადგან სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს, ასევე, დავის საგანი არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 "ბ" მუხლის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ასევე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. კონკრეტულ შემთხვევაში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, გადაიხადოს დაცვის კუთვნილი ობიექტები, ხოლო მოპასუხის შემხვედრი ვალდებულებაა, გადაიხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება. დავის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა გაირკვეს, დადებულია თუ არა ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ მის უშუალო, საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით დამტკიცებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წესდების მე-2 მუხლის თანახმად, დაცვის პოლიციის ამოცანაა, დადებული ხელშეკრულების ფარგლებში დაიცვას მესაკუთრის ქონებასა და კანონიერ ინტერესებს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაცვას. იგივე დგინდება შსს მინისტრის 2005 წლის 23 მარტის ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლიდან. ამდენად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე, კერძო პირების ხელშეკრულების საფუძველზე დავა წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხის ანაზღაურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ურთიერთობა უნდა იქნეს მიჩნეული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობად და შესაბამისად, საქმის განხილვა უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 "ბ" მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობას, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე

ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალი სადავო სამართალურიერთობის შინაარსი, რის გასარკვევაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამოიჯნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

კონკრეტულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ნაკისრი აქვს ვალდებულება, დაიცვას შპს "საქართველოს რკინიგზის", სპორტული კოპლექსი, ხოლო მოპასუხე ვალდებულია, აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადამწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით თუ - მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა დაცვის პოლიციის ამოცანები კერძოდ, დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. იმავე მუხლის მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიცია ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის #90 ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დაცვის პოლიციის წესდება და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ამ დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის უფლება-მონაცვლე. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე, კერძო პირების ხელშეკრულებების საფუძველზე დაცვა, ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხის ანაზღაურებას, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება უნდა განხილულიყო, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებული დავებიც განიხილებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სადავო ურთიერთობაში არ ახორციელებდა კანონით მინიჭებულ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრის გამო შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ, წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივრები განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-998-962(გ-08)

13 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის დაცვის პოლიციის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1998 წლის 13 მაისს გარდაბნის დაცვის პოლიციამ სასარჩელო განცხადებით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე შპს "სიერას" მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 2280 ლარის ანაზღაურება.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა - შპს "სიერას" გარდაბნის დაცვის პოლიციის სასარგებლოდ დაეკისრა 2384 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "სიერამ".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 11 მარტის განჩინებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

1999 წლის 1 აპრილს გარდაბნის დაცვის პოლიციამ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა გარდაბნის რაიონის დაცვის პოლიციისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 41312,5 ლარის დაკისრება.

გარდაბნის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 15 ივნისის განჩინებით შეჩერდა გარდაბნის რაიონის დაცვის პოლიციის სარჩელზე საქმის წარმოება შპს "სიერადან" ნავთობპროდუქტების დატაცებასთან დაკავშირებით გარდაბნის პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტამდე.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 მარტის განჩინებით შპს საკუთრების დაცვის პოლიციის მთავარი სამმართველო საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით საკუთრების დაცვის გარდაბნის რაიონის პოლიციის განყოფილების სარჩელი დაკმაყოფილდა - შპს "სიერას" დაცვისრა საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების სასარგებლოდ 3858.47 ლარის გადახდა; შპს "სიერას" შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა - არასაუწყებო დაცვის გარდაბნის რაიონის პოლიციის განყოფილებას დაეკისრა შპს "სიერას" სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურება 69.913.47 ლარის ოდენობით, ასევე - წარმომადგენლის ხარჯის - 1640 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის - 1720.44 ლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს გარდაბნის რაიონის დაცვის პოლიციამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებას შპს "სიერას" სასარგებლოდ 69.913,47 ლარის დაკისრების ნაწილში და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

2003 წლის 18 მარტს შპს "სიერამ" შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების იმგვარად შეცვლა, რომ განსახილველ საქმეში შპს გარდაბნის დაცვის პოლიციის განყოფილებასთან ერთად მოპასუხედ ჩაბმულიყო შპს საკუთრების დაცვის პოლიციის მთავარი სამმართველო და ზარალის ანაზღაურება მოპასუხეებს დაკისრებოდათ სოლიდარულად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 18 აპრილის განჩინებით შპს "სიერას" შეგებებული სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის განჩინებით შპს გარდაბნის რაიონის დაცვის პოლიციის განყოფილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს გარდაბნის დაცვის პოლიციის განყოფილებამ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის გარდაბნის დაცვის პოლიციის განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სსიპ გარდაბნის პოლიციის განყოფილების სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელება; დ) თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის მითითებით, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და კერძო სამართლის სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული დავალიანებისა და ასევე ზიანის ანაზღაურება, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ, არამედ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას, რაც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უმთავრესია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითაა დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნული ნორმის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლებელია, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიციის განყოფილების მიერ სარჩელი აღძრულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით გარდაზნის დაცვის პოლიციის განყოფილებას ნაკისრი აქვს ვალდებულება, "დამკვეთის" შპს "სიერას" კუთვნილ ობიექტზე არსებული მატერიალური ფასეულობანი შეუნარჩუნოს "დამკვეთს" ობიექტის დაცვაზე აყვანის მომენტიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობის პერიოდში, ხოლო მოპასუხე შპს "სიერას" შემხვედრი ვალდებულებაა, გადაიხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება, თვეში 720 ლარის ოდენობით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადაწყვეტა დადგინდეს, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება სსიპ გარდაზნის დაცვის პოლიციის განყოფილების მიერ, მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების განხორციელების მიზნით თუ მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული წესდების მე-2 მუხლით განისაზღვრა, რომ დაცვის პოლიციის ამოცანაა დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებასა და კანონიერი ინტერესების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის #90 ბრძანებულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით დამტკიცებული მისი წესდება და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლე. ამავე დებულების მე-2 მუხლის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით დეპარტამენტი ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის, ის კერძო პირების, ხელშეკრულების საფუძველზე დაცვა ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო,

პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხების ანაზღაურებას, შესაბამისად იგი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განჩინებით საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიციის სააპელაციო საჩივრის თაობაზე განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური თვისების არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალური თვისების შინაარსი, რის გასარკვევადც არსებითაა დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე, კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გამოიკვანა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

კონკრეტულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიციის მიერ აღძრულია სარჩელი შპს "სიერას" მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადაწყვეტა იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიციის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით, თუ - მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ დაცვის პოლიციის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. იმავე მუხლის მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიცია ხელშეკრულების

საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 18 თებერვლის #90 ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დაცვის პოლიციის წესდება და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ამ დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლის პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის #261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის უფლებამოსილი. ამავე დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას.

ამდენად, დაცვა წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის გარდაზნის დაცვის პოლიცია ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხის ანაზღაურებას, რის გამოც ხსენებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება უნდა განხილულიყო, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებული დავებიც განხილუბოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიცია სადავო ურთიერთობაში არ ახორციელებდა კანონით მინიჭებულ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიციის სააპელაციო საჩივრის გამო შპს "სიერას" მიმართ, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გარდაზნის დაცვის პოლიციის სააპელაციო საჩივარი მოპასუხე შპს "სიერას" მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით

განჩინება

#ბს-989-947(გ-07)

6 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. ქადაგიძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ახმეტის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის ა. ფ-ურის სარჩელის განსჯადობის შესახებ არსებული დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

11.06.07წ. ახმეტის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ფ-ურმა, მოპასუხე სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ახმეტის ფილიალის მიმართ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების შესახებ. მოსარჩელემ თავის სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ 1992 წლიდან 1994 წლამდე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა სოფ. ... მცხოვრებ გ. ლ-შვილთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. ა. ფ-ურის განცხადებით 1994წ. მისი მეუღლე გაემგზავრა რუსეთში სამუშაოდ, მეუღლის მშობლებმა აიძულეს შვილებთან ერთად დაეტოვებინა მათი სახლი. 12 წლის მანძილზე ცხოვრობს ავადმყოფ დედასთან ერთად, რომელმაც გამოუყო მას საცხოვრებლად მისსავე სახლის გვერდზე მდებარე ერთი ოთახი. 2006წ. სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის შეამოწმეს მისი საცხოვრებელი პირობები, მიანიჭეს სარეიტინგო ქულა 30230, გადასცეს შესაბამისი მოწმობა და მოაწერინეს ხელი დეკლარაციაზე, რომ მიიღებდა 54 ლარს. 2006 წლის დეკემბერში მოსარჩელესთან განმეორებით მივიდა სხვა აგენტი და რადგანაც ა. ფ-ური ცხოვრობდა დედასთან, აღწერეს დედის ქონებრივი მდგომარეობაც, რამაც შეადგინა 47400 ქულა. აღნიშნული ქულა დაუმატეს ა. ფ-ურის სარეიტინგო ქულას და მათ მისცეს მოწმობა, რომლის თანახმადაც დახმარება აღარ მიეცემოდათ.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 02.07.07წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 06.10.06წ. #264/6 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ცენტრალური აპარატის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების დებულების" მე-16 მუხლის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) განყოფილება წარმოადგენს სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოზე დაკისრებულ უფლებამოსილებას. სააგენტოს ახმეტის რაიონული განყოფილება, სასამართლოს მოსაზრებით, ვერ ჩაითვლება იურიდიულ პირად, რომელიც უნდა ჩაერთოს საქმის წარმოებაში მოპასუხედ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ადგილსამყოფელის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქ. #51.

14.09.07წ. განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ადმინისტრაციული საქმე ა. ფ-ურის სარჩელისა გამო მოპასუხის სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ახმეტის ფილიალის მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადასცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით მოსარჩელე თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმ სუბიექტს, ვინც პასუხი უნდა აგოს მის მოთხოვნაზე, რის შესახებაც ვალდებულია მიუთითოს სასარჩელო განცხადებაში, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლისა. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი წარედგინილია ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, სასამართლო ვალდებულია მოსარჩელეს მისცეს საპროცესო ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით განსაზღვრულია არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის წესი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიმართ ვინც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე, იგი უფლებამოსილია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. სასამართლო თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განსჯადობის განსაზღვრისას არასწორად იქნა

ახმეტის რაიონული სასამართლოს მიერ გამოყენებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საერთო განსჯადობის დაცვით სარჩელის წარდგენას. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის ანალოგიით და განცხადება მიეჭნია განსჯადობით სწორად წარდგენილად, ვინაიდან მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ, დამოკიდებულია მის არჩევანზე, ხოლო ამავე კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე ახმეტის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ საქმე ახმეტის რაიონული სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ სარჩელის საგნობრივი განსჯადობა და შესაბამისად, ა. ფ-ურის სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში ა. ფ-ურმა მოპასუხედ მიუთითა სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ახმეტის ფილიალზე, რომლის ადგილსამყოფელი იყო ახმეტაში, . . . ქ-ის #49-ში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია მოსარჩელის თანხმობის გარეშე სასარჩელო მოთხოვნაზე მოპასუხის განსაზღვრა და აღნიშნულის შედეგად ტერიტორიული განსჯადობის შეცვლა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელე ვალდებულია, სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს მოპასუხე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის არასათანადო მოპასუხედ ცნობის საკითხი არ განუხილავს, აღნიშნული სადავოდ არც მხარეებს გაუხდიათ. სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახმეტის ტერიტორიული განყოფილება არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, რომელიც საქმეში მოპასუხე შეიძლება ყოფილიყო, არ ქმნის საქმის განსჯადობით იმ სასამართლოსათვის გადაცემის საფუძველს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მდებარეობს, სასამართლოს აზრით, სათანადო მოპასუხე. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეზე სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის დასაშვებობა არ ათავისუფლებს სასამართლოს სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნების დაცვისაგან, რომლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აეცა სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით და არა თავისი ინიციატივით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ახმეტის რაიონული სასამართლოს მიერ მითითებული შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 06.10.06წ. #264/5 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დებულების" მე-5 მუხლით დადგენილია სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს სტრუქტურა. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააგენტო დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით, რაც არ ადასტურებს სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ტერიტორიული ორგანო განსახილველ საქმეში მოპასუხეს არ წარმოადგენდეს. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, ის გარემოება, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 06.10.06წ. #264/5 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დებულება" ახმეტის რაიონული სასამართლოს 02.07.07წ. განჩინების მიღების დროისათვის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. #190/5 ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ფ-ურის სარჩელი ახმეტის რაიონული სასამართლოს განსჯადია და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ახმეტის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ფ-ურის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ახმეტის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს ახმეტის რაიონულ სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით

განჩინება

#ბს-583-560(გ-08)

10 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 4 სექტემბერს ვ. წ-შვილმა, კ. ბ-ძემ, შ. ლ-ძემ, მ. ს-შვილმა, ზ. ხ-ძემ და შ. მ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" (ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოს) მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითეს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაზე.

მოსარჩელეთა განმარტებით, წლების მანძილზე მუშაობდნენ შპს "საქართველოს რკინიგზის" ხაშურის სალოკომოტივო დეპოში და იყვნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილეები, რის გამოც მათზე ვრცელდებოდა საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი და ამდენად, ხელფასიდან არ უნდა დაქვითოდათ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ექვითებოდათ 1992 წლიდან. 2000 წლიდან სარჩელის აღძვრის დრომდე მოსარჩელებს ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის სახით დაექვითათ: ვ. წ-შვილს - 6304 ლარი, შ. ლ-ძეს - 5083,79 ლარი, ზ. ხ-ძეს - 4825,24 ლარი, მ. ს-შვილს - 5933,26 ლარი, კ. ბ-ძეს - 4712,97 ლარი, შ. მ-ძეს - 5786,83 ლარი. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელებმა მიმართეს შპს "საქართველოს რკინიგზის" ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოს უფროსს, თუმცა უშედეგოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს საშემოსავლო გადასახადის სახით მათთვის უკანონოდ დაბეგრული, ზემოთ მითითებული თანხების გადახდის მოპასუხისთვის დაკისრება.

შპს "საქართველოს რკინიგზამ" ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომელშიც მიუთითა, რომ ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნების ნაწილში შპს "საქართველოს რკინიგზა", როგორც საგადასახადო აგენტი, იყო არასათანადო მოპასუხე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სამტრედიის საგადასახადო ინსპექციით, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილი ნათლად განსაზღვრავდა, რომ საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაგებლის ავტორის მტკიცებით, მოცემულ საქმეში შპს "საქართველოს რკინიგზა" იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა სადავო ურთიერთობაში, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს "საქართველოს რკინიგზას" ვ. წ-შვილის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 289,16 ლარი, შ. ლ-ძის სასარგებლოდ - 380,53 ლარი, მ. ს-შვილის სასარგებლოდ - 584,11 ლარი, ზ. ხ-ძის სასარგებლოდ - 450,05 ლარი, შ. მ-ძის სასარგებლოდ - 410,88 ლარი, სულ - 2114,73 ლარი. რაც შეეხება კ. ბ-ძეს, მართალია, რაიონულმა სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილების

სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითა მასზე, თუმცა იმავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ მასზე ვერავითარი შეღავათი ვერ გავრცელდებოდა, დანარჩენი მოსარჩელების მოთხოვნა კი, ფაქტობრივად, საფუძვლიანად მიიჩნია მხოლოდ 2005-2006 წლებში ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის სახით დაქვითული თანხების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. წ-შვილმა, კ. ბ-ძემ, შ. ლ-ძემ, მ. ს-შვილმა, ზ. ხ-ძემ და შ. მ-ძემ, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა და შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" მოსარჩელეთა სასარგებლოდ თანხების დამატებით დაკისრება, კერძოდ, თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ სულ შემდეგი ოდენობით: ვ. წ-შვილის - 4242,86 ლარი, შ. ლ-ძის - 3093,28 ლარი, ზ. ხ-ძის - 3137,06 ლარი, მ. ს-შვილის - 3687,23 ლარი, კ. ბ-ძის - 3413,71 ლარი, შ. მ-ძის - 4141,8 ლარი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე შპს "საქართველოს რკინიგზამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება. აპელანტმა - შპს "საქართველოს რკინიგზამ" მიუთითა, რომ განსახილველი დავის საგანი იყო ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის კანონიერება და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება, სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად კი მოსარჩელები მიუთითებდნენ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე, რაც უნდა გადაწყვეტილიყო საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. შპს "საქართველოს რკინიგზამ" სააპელაციო საჩივარშიც მიუთითა, რომ ამ საქმეში შპს "საქართველოს რკინიგზა" იყო არასათანადო მოპასუხე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, შპს "საქართველოს რკინიგზა" უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით, ხოლო შპს "საქართველოს რკინიგზა" ამავე საქმეში იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზისა" და ვ. წ-შვილის, კ. ბ-ძის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძის და შ. მ-ძის სააპელაციო საჩივრები საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი იყო დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხის ანაზღაურება, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა და მის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აპრილის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზისა" და ვ. წ-შვილის, კ. ბ-ძის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძის და შ. მ-ძის სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ვ. წ-შვილის, კ. ბ-ძის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იდენტურ საქმეზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 თებერვლის #ბს-834-799(გ-06) განჩინებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ურთიერთობა მოსარჩელებს, როგორც საშემოსავლო გადასახადის გამამხდელებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის, ხოლო მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზა" წარმოადგენდა შუამავალს, ე.წ. საგადასახადო აგენტს, რომელსაც სახელმწიფოსაგან დაკისრებული ჰქონდა გადასახადის გამოანგარიშების, გამამხდელთათვის მისი დაკავებისა და შესაბამის ბიუჯეტში გადარიცხვის სპეციალური მოვალეობა (1997 წლის საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, ამ საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს ამ სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის - შპს "საქართველოს რკინიგზის" ხაშურის სალოკომოტივო დეპოს სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე - შპს "საქართველოს რკინიგზის" ამ საქმეში საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის საოქმო განჩინებებით კ. ბ-ძის ნაწილში სარჩელი დარჩა განუხილველი; დანარჩენ მოსარჩელეთა მიმართ თავდაპირველი მოპასუხე - შპს "საქართველოს რკინიგზა" მათივე თანხმობით შეიცვალა სათანადო მოპასუხით - საგადასახადო ინსპექციით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს "საქართველოს რკინიგზა" საქმეში ჩაება მესამე პირად. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა დააზუსტა სარჩელში მითითებული თანხები.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის განჩინებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელი (მესამე პირი - შპს "საქართველოს რკინიგზა") მოპასუხე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიმართ, ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების შესახებ, საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიულ განსჯადობაზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილ სარჩელის უფლებამოსილი სასამართლოსთვის წარდგენაზე და მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეში ვერანაირად ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და ვერ შეძლებდა მოსარჩელე ფიზიკური პირებისათვის დაებრუნებინა ზედმეტად გადახდილი თუ უკანონოდ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხა, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია უფლებამოსილი იყო, ზედმეტად გადახდილი თანხები დაებრუნებინა მხოლოდ ამ ინსპექციაში აღრიცხვაზე მყოფი გადასახადის გამომხდელისათვის და არა გადასახადის გამომხდელის მიერ დაქირავებული იმ პირებისათვის, რომელთაც საგადასახადო აგენტმა უკანონოდ დაუკავა საშემოსავლო გადასახადი. ამიტომ, თუ საგადასახადო აგენტი - შპს "საქართველოს რკინიგზა" საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში დროულად წარადგენდა სათანადოდ კორექტირებულ "ფიზიკურ პირზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმას", მოსარჩელებიც დროულად მიიღებდნენ სადავო თანხებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის საოქმო განჩინებით, მოსარჩელეთა თანხმობით, არასათანადო მოპასუხე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელის გამო, მოცემული ადმინისტრაციული საქმე მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციის მიმართ, მესამე პირი - შპს "საქართველოს რკინიგზა", ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ - იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში არასათანადო მოპასუხე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციით, ხოლო მოსარჩელები მუშაობდნენ შპს "საქართველოს რკინიგზის" ხაშურის სალოკომოტივო დეპოში და საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირებისათვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში, ამდენად, მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა ხაშურის რაიონულ

სასამართლოს და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაგზავნოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ხაშურის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანია ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის კანონიერება და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება, ანუ, როგორც მოსარჩელეთა ხელფასების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის უკანონოდ მიჩნევა და შემდგომში ამ გადასახადით მათი არდაბეგვრა, ისე უკვე დაბეგრილი თანხების დაბრუნება. ამდენად, კონკრეტული სარჩელის საგანი თავის თავში მოიცავს ორ სასარჩელო მოთხოვნას, პირველი მათგანი - მომავალში მოსარჩელეთა ხელფასების საშემოსავლო გადასახადით არდაბეგვრა მიმართულია შპს "საქართველოს რკინიგზის", ხოლო მეორე მათგანი - მანამდე დაბეგრილი თანხების დაბრუნება - შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიმართ, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო უნდა დაეხმაროს მოსარჩელეს აღნიშნულის შესაბამისად მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელის სამართლებრივი საფუძველია 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის საოქმო განჩინებით, მოსარჩელეთა თანხმობით, არასათანადო მოპასუხე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, მართებულად შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციით, რამაც განსაზღვრა მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოც.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში არასათანადო მოპასუხე - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციით, მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ, პირი, რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელები მუშაობდნენ შპს "საქართველოს რკინიგზის" ხაშურის სალოკომოტივო დეპოში, შესაბამისად, მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადიც გადაიხდებოდა მათი ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით

განჩინება

#ბს-162-158 (გ-08)

24 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. დ-ძის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე გორის რაიონულ სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. დ-ძემ სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს 24.05.06წ. ტვირთის წარდგენის #217 ოქმისა და 09.06.06წ. #00477 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობისა და კუთვნილი მობილური ტელეფონების დაბრუნების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს, რომ 24.05.06წ. რიკოთის უღელტეხილზე არსებული საავტომობილო გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ შეჩერებული იქნა თბილისიდან ქუთაისის მიმართულებით მოძრავი ავტობუსი, საიდანაც გადმოიტანეს მოსარჩელის პირადი ტვირთი სხვადასხვა დასახელების 59 მობილური ტელეფონი, რომელიც ჩამოართვეს იმ საფუძვლით, რომ ტვირთს არ ერთვოდა შესაბამისი საბუთები და გადაიტანეს გორში მდებარე "ავგროტერმინალის" ტერიტორიაზე. მოსარჩელე უთითებს, რომ იგი შეეცადა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისათვის წარედგინა ტვირვის თანხმხლები დოკუმენტები, მაგრამ თანამშრომლებმა განუმარტეს, რომ დოკუმენტები მეორე დღეს უნდა წარმოედგინა და დაუბრუნებდნენ ტვირთს. ავტოტერმინალში პოლიციის თანამშრომლებმა დოკუმენტი შეავსეს და ხელი მოაწერინეს. მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ 29.05.06წ. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შედგენილი ოქმი გადაგზავნილი იქნა გორის საგადასახადო ინსპექციაში შემდგომი რეაგირებისათვის. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ტვირთის წარდგენის ოქმი უკანონოა, ვინაიდან მისი, როგორც ინდივიდუალური მეწარმის, შემოწმება ხორციელდება სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, ხოლო ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს არ მოუმართავთ სასამართლოსათვის შესაბამისი შუამდგომლობით. ამასთან, უკანონოდაა განსაზღვრული ჯარიმის თანხა 10322,5 ლარი, ვინაიდან ჯარიმის თანხა უნდა განესაზღვრა ექსპერტს და უნდა განხორციელებულიყო ტვირთის ინვენტარიზაცია, რაც არ მომხდარა. საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს არ დაუყადადებია ტვირთი, რასაც ჯარიმის გადახდამდე ითვალისწინებს მითითებული მუხლი.

გორის რაიონული სასამართლოს 25.08.06წ. გადაწყვეტილებით ზ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.07წ. განჩინებით გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა გორის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ წარმოადგინა ფინანსთა სამინისტროს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 15.08.06წ. #1059 საგადასახადო მოთხოვნა და დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. მოსარჩელემ მოითხოვა წარმოდგენილი საგადასახადო მოთხოვნის გაუქმება, ასევე აღნიშნულ საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე ქუთაისის საგადასახადო ორგანოს 27.06.06წ. #07/419 ბრძანების გაუქმება, სამართალდარღვევისა და ტვირთის წარდგენის ოქმების ბათილად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს 06.09.06წ. განჩინებით ზ. დ-მის სასარჩელო განცხადება ქუთაისის საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს მიმართ, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 15.08.06წ. #1059 საგადასახადო მოთხოვნისა და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი წარედგინა სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ადგილსამყოფელის შესაბამისად და ვინაიდან მოსარჩელე ზ. დ-მის ერთ-ერთ მოთხოვნაზე - ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 06.09.06წ. #1059 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობაზე, თავდაპირველი მოპასუხე - გორის საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ქუთაისის საგადასახადო ინსპექციით, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, შესაბამისად ამ მოთხოვნის ნაწილში განსჯად სასამართლოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლო უნდა ჩაითვალოს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ზ. დ-მის სასარჩელო განცხადება, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 06.09.06წ. #1059 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის ნაწილში, მოპასუხე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, განსჯადობის წესით განსახილველად უნდა გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსათვის.

ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 16.01.08წ. განჩინებით ადმინისტრაციული საქმე ზ. დ-მის სარჩელის გამო მოპასუხე გორის საგადასახადო ინსპექციისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 22-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. სასამართლოს აზრით, მითითებული მუხლის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ სარჩელი მიღებული უნდა იქნას წარმოებაში განსჯადობის წესების დაცვით. სარჩელის წარმოებაში სწორად მიღების შემდეგ, შეიძლება შეიცვალოს პირობები და იგი სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს, მაგრამ ეს არ არის საქმის გადაცემის საფუძველი, რადგან აღნიშნული გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, რადგან საქმე მიღებული იყო ტერიტორიული განსჯადობის წესების დაცვით, ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის შეცვლა არ წარმოადგენს განსჯადობის შეცვლის საფუძველს და საქმე უნდა განიხილოს გორის რაიონულმა სასამართლომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე გორის რაიონული სასამართლოს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ზ. დ-მის სარჩელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობაზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ სარჩელის საგნობრივი განსჯადობა და შესაბამისად, ზ. დ-მის სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ განსჯადობას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში იმპერატიული და არა დისპოზიციური ხასიათი

აქვს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ რადგან საქმე მიღებული იყო ტერიტორიული განსჯადობის წესების დაცვით, ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის შეცვლა არ წარმოადგენს განსჯადობის შეცვლის საფუძველს და საქმე უნდა განიხილოს გორის რაიონულმა სასამართლომ. მოცემულ შემთხვევაში მოხდა არა მოპასუხის ადგილსამყოფელის შეცვლა, საქმეში ჩაება ახალი მხარე, მოპასუხის სახით, სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. ამდენად, ტერიტორიული განსჯადობის პირობების შეცვლა არ მოქმედებს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე იმ შემთხვევაში, უკეთეს სარჩელის განსჯადობის წესების დაცვით იქნა მიღებული წარმოებაში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ოქმი წარმოადგენს შუალედურ აქტს, იგი თავისთავად არ იწვევს უშუალო სამართლებრივ შედეგს და ვერ იქნება მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, მაგრამ არა სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზარეშე. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით საჭიროება დაზუსტებას, გორის რაიონული სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება არ ადასტურებს იმას, რომ მოხდა განსჯადობის წესების დაცვით საქმის წარმოებაში მიღება (სსკ-ის 22-ე მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციის უფროსი/ მოადგილე ადგენს ოქმის შედგენის სისწორეს, საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტს, დარღვევის ჩამდენის ბრალულობის და პასუხისმგებლობის საკითხს, რის საფუძველზეც გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ფორმდება ბრძანებით. საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის მე-16 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელს/ სხვა ვალდებულ პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება, წერილობით ეცნობება ამ გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო საგადასახადო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, წარედგინება "საგადასახადო მოთხოვნა". საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ბრძანება ან სხვა გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული აქტები შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია აღნიშნული ბრძანება ან სხვა გადაწყვეტილება ან მისმა კანონიერმა ან უფლებამოსილმა წარმომადგენელმა კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით, მხოლოდ მათ საფუძველზე გამოცემულ "საგადასახადო მოთხოვნასთან" ერთად. საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, "საგადასახადო მოთხოვნა" არის საგადასახადო ორგანოს მიერ მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს. "საგადასახადო მოთხოვნა" კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, 146-ე მუხლის 1 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, არის საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველი. საგადასახადო კოდექსის 82-ე, 147.2 მუხლების მიხედვით, საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ვინაიდან საგადასახადო დავის დაწყების საფუძველია "საგადასახადო მოთხოვნა" და არა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობას. იმის გათვალისწინებით, რომ 15.08.06წ. #1056 საგადასახადო მოთხოვნა გამოცემულია ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საქმე იმყოფება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქციაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. დ-ძის სარჩელი, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 06.09.06წ. #1059 საგადასახადო მოთხოვნისა და ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია და საქმე, ამ ნაწილში, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

იმის გათვალისწინებით, რომ ზ. დ-ძის სარჩელის დანარჩენი, კერძოდ ტვირთის წარმდგენის 24.05.06წ. #217 ოქმის ბათილად ცნობის ნაწილის განსჯადობა სასამართლოებს შორის სადავოდ არ გამხდარა, 26.3 მუხლის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავის არსებობის შემთხვევაში, საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას ზ. დ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენი ნაწილის განსჯადობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. დ-ძის სარჩელის განსჯადობის სადავო ნაწილი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის აუცილებელი გარემოებების დადგენა

განჩინება

#ბს-846-814(გ-08)

23 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე**

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე რ. კ-ანის, თ. კ-ძის, ა. გ-ძისა და სხვათა (სულ 9 პირის) სარჩელის გამო, მოპასუხეების - შპს "სახლმშენებელი კომბინატისა" და ქ. ბათუმის მერიის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 5 სექტემბერს რ. კ-ანმა, თ. კ-ძემ, ა. გ-ძემ და სხვებმა (სულ 9 პირმა) სარჩელი აღძრეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შპს "სახლმშენებელი კომბინატისა" და ქ. ბათუმის მერიის მიმართ და მოითხოვეს სამომავლო უფლების აღიარება ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე მშენებარე სახლის ბინებზე, შედეგი საფუძვლით:

მოსარჩელეთა მითითებით, 1990 წელს ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე ყოფილმა სახლმშენებელმა კომბინატმა, რომლის სამართალმემკვიდრეა შპს "სახლმშენებელი კომბინატი", დაიწყო 9-სართულიანი, 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. გარკვეული სამუშაოების შესრულების შემდეგ, 1993 წელს, საფინანსო სახსრების უქონლობის გამო, შეჩერდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. 1994 წლის წერილით სახლმშენებელი კომბინატის ადმინისტრაციამ თხოვნით მიმართა აჭარის მინისტრთა საბჭოს და ბათუმის მერიას დაწყებული საცხოვრებელი სახლის საკუთარი სახსრებით მშენებლობის გაგრძელების თაობაზე. ქ. ბათუმის მერიის 1994 წლის 8 ივლისის #292 გადაწყვეტილებით ბათუმის სახლმშენებელ კომბინატს გადაეცა მშენებარე 104-ბინიანი სახლის ერთი ბლოკი - 52 ბინა, იმ პირობით, რომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ქ. ბათუმის მერიას გადაეცემოდა საცხოვრებელი ფართის 36%, დანარჩენი ბინის ნაწილი კი განაწილდებოდა კომბინატში არსებული ბინების მიღების რიგში მყოფ თანამშრომლებზე. მითითებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსარჩელებზე გაიცა საგარანტიო წერილები.

მოსარჩელეთა მითითებით, სახლი არის მშენებარე, რომლის მიმართაც მათ გააჩნიათ კანონიერი ინტერესი, სამომავლოდ სურთ მშენებლობის გაგრძელება ამხანაგობის ბაზაზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი, აღიარებულ იქნა მოსარჩელების სამომავლო უფლება ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე მშენებარე სახლის ბინებზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ბათუმის მერიამ და შპს "ბათუმის სახლმშენებელმა კომბინატმა".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განჩინებით ქ. ბათუმის მერიისა და შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის" სააპელაციო საჩივრები საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონიდან, რის გამოც დავა განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით ქ. ბათუმის მერიისა და შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის" სააპელაციო საჩივრები განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1994 წლის 8 ივლისის #292 გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის სახლმშენებელ კომბინატს გადაეცა მშენებარე 104-ბინიანი სახლის ერთი ბლოკი, იმ პირობით, რომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ ქ. ბათუმის მერიას გადაეცემოდა საცხოვრებელი ფართის 36%; ქ. ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის 1995 წლის 8 თებერვლის #23 ოქმით დადგინდა, რომ სახლმშენებელი კომბინატის ადმინისტრაციასა და პროფკომიტეტს უზრუნველყოთ ... ქუჩაზე მშენებარე 52-ბინიანი, 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გაგრძელება, ასევე, დადგინდა გაცემული საგარანტიო წერილების მიხედვით რიგითობის სიაში მყოფ თანამშრომლებზე საცხოვრებელი ბინების განაწილება; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2007 წლის 11 ივნისს მიმართა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე მშენებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირება. შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის" წესდებით იგი დაფუძნებულია აჭარის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ, რომელიც სახელმწიფო საწარმო ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის სამართალმემკვიდრეა და წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იან საკუთრებას. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გაასხვისა მის საკუთრებაში არსებული შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის" 100%-იანი წილი და მესაკუთრე გახდა შპს "გორგია".

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დავის საგნით. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების სამომავლო აღიარება. ამდენად, მოცემული დავა კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ მოპასუხედ დასახელებულია ქ. ბათუმის მერია, არ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს. ამასთან, მოსარჩელეთა წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე მიუთითა, რომ მათი მოთხოვნა ქ. ბათუმის მერიის მიმართ არ არის მიმართული, ხოლო მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მერიას 36% უნდა გადასცემოდა, რის გამოც ამ უკანასკნელს მოსარჩელეთა წინაშე არანაირი ვალდებულება არ გააჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უძრავლესობა საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მოსარჩელების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიისა და შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის" სააპელაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულის შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში. ამასთან,

აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება და მიაჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად შეაფასა კონკრეტული სამართალურთიერთობა, მაგრამ სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას ამგვარი დასკვნის გაკეთებისათვის. ვინაიდან სასამართლოს მსჯელობა მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან - "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონიდან, რის გამოც, დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულია.

საკასაციო სასამართლოს ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას მოცემული დავის სამოქალაქოდ მიჩნევის თაობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია მშენებარე საცხოვრებელ ფართზე სამომავლო უფლების აღიარება, რის კანონიერ ინტერესს მოსარჩელები ასაბუთებენ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ქ. ბათუმის მერიის 1994 წლის 8 ივლისის #292 გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე გაცემული საგარანტიო წერილების შესაბამისად, მოსარჩელებს მშენებლობის დამთავრების შემდეგ წარმოეშობოდათ ბინებზე უფლება და აღნიშნული უფლების დაცვის მიზნით, გააჩნდათ სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ უფლების არსებობის აღიარების ინტერესი.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნა არ არის მიმართული ქ. ბათუმის მერიისადმი, ხოლო მერიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მას მოსარჩელეთა მიმართ არანაირი ვალდებულება არ გააჩნია, მაგრამ საქმეში არსებულ სხოდმის ოქმში მოსარჩელის ამგვარი პოზიცია დაფიქსირებული არ არის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია შემდეგი: იმ პირობებში, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ იყო მიმართული ქ. ბათუმის მერიისადმი, უნდა ემსჯელა, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად ქ. ბათუმის მერია წარმოადგენდა თუ არა სათანადო მოპასუხეს მის მიმართ მოთხოვნის არარსებობის პირობებში. შესაბამისად, საპროცესო სუბიექტებისა და სარჩელის საგნის განსაზღვრის შემდეგ უნდა შეფასადას დავის განსჯადობის საკითხი.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას დავის სამოქალაქოდ მიჩნევის თაობაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება, რაც სადავო ურთიერთობას სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს ანიჭებს. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე უფლების აღიარებას და მოთხოვნას ამყარებენ ქ. ბათუმის მერიის 1994 წლის 8 ივლისის 292 გადაწყვეტილებასა და მის საფუძველზე გაცემულ საგარანტიო წერილებზე.

განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დავის საგნის არსის და პროცესუალურ მონაწილეთა საკითხის გარკვევის, რიგი საპროცესო მოქმედებების შესრულების გარეშე, არასწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოაყალიბა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ სტადიაზე არ არსებობს საქმის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის საფუძველი. ადმინისტრაციულმა პალატამ უნდა დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნები, განსაზღვროს, თუ ვისკენაა მიმართული მოთხოვნა, რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს სადავო სამართალურტიერთობა და მხოლოდ ამის შემდგომ იმსჯელოს დავის განსჯადობის განსაზღვრაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მერიისა და შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის" სააპელაციო საჩივრები განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. კერძო საჩივრის განსჯადობა სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე

განჩინება

#ბს-82-82(გ-08)

26 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

1997 წელს რ. გ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოში მოპასუხის - საქართველოს საპაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ზარალის ანაზღაურება.

თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1997 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - საქართველოს რესპუბლიკის საპაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს 1996 წლის იანვრიდან 1997 წლის ნოემბრის ჩათვლით დაეკისრა 4767 ლარისა და 53 თეთრის ერთდროულად, ხოლო 1997 წლის დეკემბრიდან მდგომარეობის შეცვლამდე ყოველთვიურად 292 ლარისა და 48 თეთრის რ. გ-მის სასარგებლოდ გადახდა.

2007 წლის 8 მაისს რ. გ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 აგვისტოს განჩინებით რ. გ-მის განცხადება დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1997 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა მოვალე რესპუბლიკის ტრანსპორტის დეპარტამენტის უფლებამონაცვლის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ.

საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და რ. გ-მის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1. მუხლი და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში აღნიშნული დავა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი ურთიერთობიდან, ვინაიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის თანახმად, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. "გ" მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილდებოდა განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან დაკავშირებით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რის გამოც დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა 2008 წლის 3 იანვრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას აღნიშნული საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და წამოიწყო რა დავა განსჯადობის შესახებ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი თანდართულ მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაუგზავნა უზენაეს სასამართლოს, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ გაიზიარა სამოქალაქო პალატის მსჯელობა, რომ მოცემულ დავა არ გამომდინარეობდა სსსკ-ის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი ურთიერთობიდან და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებელი სადავოდ არ ხდიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების საკითხს, არამედ განცხადებით ითხოვდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მოპასუხის უფლებამონაცვლის - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ

სააღსრულებო ფურცლის გაცემას. ამასთან, ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოიყენა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის მე-20 და 24-ე მუხლები და განმარტა, რომ სააღსრულებო ფურცელს გასცემდა მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი სასამართლო, ანუ რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში რ. გ-მის სარჩელი, რომელიც დაკმაყოფილდა კანონიერ ძალაში შესული საბურთალოს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, განხილულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, საქმე ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს და, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე სრულიად დაუსაბუთებელია, სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რა სამართალურთიერთობა არსებობდა და რა მოსაზრებით მივიდა ამგვარ დასკვნამდე, რის გამოც დარღვეულია სსსკ-ის 394. "ე" მუხლის მოთხოვნები.

კონკრეტულ შემთხვევაში რ. გ-მე განცხადებით მოითხოვდა ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას თავდაპირველი მოპასუხის უფლებამონაცვლის - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, რაც ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ გააჩნდა მოთხოვნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს - თავდაპირველი მოპასუხის უფლებამონაცვლის მიმართ, არამედ ის ითხოვს, სააღსრულებო ფურცლის გაცემას თავდაპირველი მოპასუხის უფლებამონაცვლის მიმართ. ანუ, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დავა, კერძოდ, სასარჩელო წარმოება, არამედ არსებობს საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე მოთხოვნა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლე ორგანიზაციის მიმართ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელსაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს.

საკასაციო სასამართლოს სრულიად ალოგიკურად მიაჩნია სამოქალაქო სასამართლოს მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული დავა. მოსარჩელემ სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა განცხადების ფორმით, მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.3. მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოება აგებულია სასარჩელო წარმოებაზე, ამასთან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სარჩელი აღიძვრება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული მოთხოვნით; რ. გ-მეს განცხადებაზე მოპასუხე არ ჰყავს მითითებული შესაბამისი მოთხოვნის /სადავო საგნის/ არარსებობის გამო. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სასამართლომ განჩინება გამოიტანა რ. გ-მის განცხადებაზე იმ საფუძველით, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა განხორციელებულიყო უფლებამონაცვლე ორგანიზაციის მიმართ.

საკასაციო სასამართლო "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 2. "ა" პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის მე-20 მუხლის თანხმად, სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 24-ე მუხლის თანხმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა მიმართ.

საქმის მასალების თანახმად ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მოვალეს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის საჭირო ტრანსპორტის დეპარტამენტი, ხოლო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2007 წლის 4 მაისის წერილის თანხმად, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის 2006 წლის 30.05

#16 შემჯავებელი საოქმო გადაწყვეტილებით დადგენილია სამოქალაქო ავიაციის უფლებამონაცვლე ორგანიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა უნდა განხორციელდეს იმავე წესით, რა წესითაც მიღებულ იქნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ხოლო მოცემულ შემთხვევაში საბურთალოს რაიონის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულია 1997 წლის 11 დეკემბერს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მიღებულ იქნა 2000 წელს. შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯადი საქმე

განჩინება

#ს-07

19 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2007 წლის 11 ოქტომბრის #3039/10/07 გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 13 თებერვალს ადვოკატმა თ. გ-შვილმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა საჩივარი სსიპ ადვოკატთა ასოციაციის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2007 წლის 11 ოქტომბრის #3039/10/07 გადაწყვეტილების გაუქმება და დისციპლინური სასჯელის მოხსნა შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, იგი 2004 წლიდან არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი - ადვოკატი საერთო სპეციალობით. ეთიკის კომისიამ მ. მ-შვილის განცხადების საფუძველზე დაწყებული დისციპლინური წარმოების შესაბამისად 2007 წლის 11 ოქტომბერს მიიღო #3039/10/07 გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-შვილის დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ეთიკის კომისიის მითითებული გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან მიღებულია "ადვოკატთა შესახებ" კანონის 6.1 და 32.1 მუხლების უხეშად დარღვევით, ასევე, ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5, 8.4, მე-7 და მე-14 პუნქტების უგულვებელყოფით. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადვოკატთა ასოციაციის წესდების 5.1, 5.3 და 5.4 მუხლების მოთხოვნებსაც.

საჩივრის ავტორის მითითებით, ეთიკის კომისიას "ადვოკატთა შესახებ" კანონის 35.2 მუხლის შესაბამისად წერილობით განემარტა, რომ განცხადებელი მ. მ-შვილი იყო თ. გ-შვილის კლიენტის ქ. მ-შვილის ძმისშვილი და საქმეში მონაწილეობდა მოწინააღმდეგე მხარედ. ქ. მ-შვილისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება საკონსულტაციო ჯგუფთან დადო ქ. გ-შვილმა - ქ. მ-შვილის დისშვილმა. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების საგანს წარმოადგენდა ქ. მ-შვილის საკუთრებაში არსებული, სოფ. დიღომში მდებარე უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და

მასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების განხორციელება. კომისიას ასევე განემარტა, რომ 2006 წლის აგვისტოში ადვოკატ თ. გ-შვილს მიმართა ქ. გ-შვილი და განაცხადა, რომ მის დეიდას - ქ. მ-შვილს 2000 წლიდან საცხოვრებელ სახლში შეეჭრა და ჩაუსახლდა მისი შვილი - მ. მ-შვილი ოჯახთან ერთად, რომელმაც პირად ვალში გაასხვისა ქ. მ-შვილის რამდენიმე მიწის ნაკვეთი, ქ. მ-შვილს ეპყრობიან ცუდად, სცემენ, ლანძღავენ, რის გამოც ესაჭიროება ადვოკატის დახმარება საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირებასა და მისი ინტერესების დაცვაში. რის შედეგადაც გაიცა მინდობილობა თ. გ-შვილის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით კონკრეტული უფლებამოსილებისა და მასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედების განხორციელების მითითებით. კომისიას ასევე წარედგინა ოფიციალური უწყებებიდან გაცემული დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ განმცხადებლის მხრიდან სისტემატურ ხასიათს ატარებდა თ. გ-შვილის მარწმუნებლის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, მიეთითა 2006 წლის 15 სექტემბრის, 2006 წლის 22 აგვისტოს, 2006 წლის 15 სექტემბრისა და 2006 წლის 18 სექტემბრის ფაქტებზე.

საჩივრის ავტორის მითითებით, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე მის მიერ წარდგენილ მასალებთან ერთად საფუძვლად დაედო თ. მ-შვილის, ნ. ხ-შვილის, ე. შ-ოვისა და თ. ფ-შვილის განცხადებები, რომლებიც თ. გ-შვილს საქმის წარმოებისას არ ჩაჰბარებია და რომელთა შინაარსიც მისთვის უცნობი იყო და მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახდა ცნობილი. საქმეში წარმოდგენილია და მტკიცებულებად გაზიარებულია ნ. ხ-შვილის, ე. შ-ოვისა და თ. ფ-შვილის 2007 წლის 27, 29 ივლისისა და 6 აგვისტოს განცხადებები, რომლებიც არის ხელნაწერი. კომისიას არ დაუკითხავს მითითებული პირები უშუალოდ და არ გადაუცია ისინი თ. გ-შვილისათვის. აღნიშნული განცხადებების თანახმად, სადავოდ გამხდარი უძრავი ქონება ეკუთვნის განმცხადებელს და თ. გ-შვილი აზომვითი სამუშაოს ჩატარებით თვითნებურად ასახლებს მ. მ-შვილს სადავო ქონებიდან, თუმცა საქმეში წარდგენილ იქნა 2006 წლის 15 სექტემბერს სოფ. დიდმის გამგეობის მიერ გაცემული ამონაწერი საკომლო წიგნიდან და 2007 წლის 29 ივნისს მცხეთის არქივის ამონაწერი, რითაც დადასტურებულია სადავო ქონებაზე ქ. მ-შვილის უფლების არსებობა.

საჩივრის ავტორის მითითებით, კომისიამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ასევე საფუძვლად დაუდო ის ფაქტი, რომ თ. გ-შვილი შსს ვაკე-საბურთალოს მე-6 განყოფილების უზნის ინსპექტორის მიერ გაფრთხილებულ იქნა, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა განმცხადებლისათვის. კომისიამ წერილობით მიმართა პოლიციის განყოფილებას და მოითხოვა ინფორმაცია, თუ რა მოქმედებებს ჰქონდა ადგილი 2007 წლის 12 ივლისს მხარეებს შორის მომხდარი კონფლიქტის დროს. პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილემ ზოგადად მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას ორივე მხარის მიერ. საჩივრის ავტორის მითითებით, მხარეში იგულისხმებოდა მისი მარწმუნებელი, რომელიც კონფლიქტის დროს იმყოფებოდა და არა მისი წარმომადგენელი თ. გ-შვილი, რომელიც იცავდა კლიენტის ინტერესებს, ცდილობდა ჩაეტარებინათ აზომვითი სამუშაოები. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სხვა რაიმე დასკვნა, რომ თ. გ-შვილი ახორციელებდა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, წერილიდან არ იკვეთება.

ამდენად, საჩივრის ავტორის მითითებით, ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია "ადვოკატთა შესახებ" კანონის, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. გ-შვილის საჩივარი სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2007 წლის 11 ოქტომბრის #3039/10/07 გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯად საქმეს წარმოადგენს, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს მითითებულ პალატას განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ადვოკატთა შესახებ" 2001 წლის 20 ივნისის კანონის 35.6 მუხლის შესაბამისად, ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში. "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" 1999 წლის 12 მაისის კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 88-ე მუხლებით და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

"საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოში იქმნება სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, დიდი პალატა, პლენუმი და სადისციპლინო პალატა. ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს პალატა გარდა სადისციპლინო პალატისა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს საქართველოს

სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებს, გადასინჯავს განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ასევე, განიხილავს საჩივრებს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ" კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში.

სსსკ-ის 391.1 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

ამდენად, მითითებული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლოს პალატები გარდა სადისციპლინო პალატისა, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ ზედამხედველობას საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, შესაბამისად, იხილავენ საჩივრებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თ. გ-შვილის საჩივარი დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2007 წლის 11 ოქტომბრის #3039/10/07 გადაწყვეტილებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსჯად საქმეს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ადვოკატთა შესახებ" კანონის 35.6 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს და საჩივრის განმხილველ ორგანოდ მიუთითებს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მაგრამ არ აკონკრეტებს, უზენაესი სასამართლოს რომელი პალატის კომპეტენციას განეკუთვნება საჩივრის განხილვა. ამგვარი დავის განხილვის კომპეტენციაზე მითითება არც "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" კანონშია მოცემული, რაც საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის ძირითადი უფლება კანონიერ სასამართლოზე, სხვა საპროცესო ძირითად უფლებებთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 42.2. მუხლით დაცული და უზრუნველყოფილია პირის აღნიშნული საპროცესო უფლება.

მითითებული კონსტიტუციური ნორმა წარმოადგენს გარანტიას "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" 6.1. მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, რაც სახელმწიფოსაგან მოითხოვს სასამართლო განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ვინაიდან არ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან მითითებული ვალდებულების შესრულება, რაც საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსჯადი სასამართლო ანალოგიის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ კანონით "ადვოკატთა შესახებ" განსაზღვრა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს იურისდიქცია ადვოკატის მიერ კვაზისასამართლო ორგანოს (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის) მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის უფლებამოსილების თაობაზე, უდავოა, რომ საქმე განხილულ უნდა იყოს საკასაციო სასამართლოს მიერ. ამასთან, რაკი "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" კანონით არ არის განსაზღვრული, საკასაციო სასამართლოს თუ რომელი პალატის კომპეტენციას წარმოადგენს ამ კატეგორიის საქმის განხილვა, საკანონმდებლო ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას (შეივსოს) სასამართლოს მიერ კანონის ლოგიკური ინტერპრეტაციის საფუძველზე, კერძოდ, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ლოგიკურად უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განსახილველ საქმეს განეკუთვნება, რადგან "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" კანონის 8¹.6 შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის კომპეტენციას განეკუთვნება "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვა. ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე საჩივრის განხილვა თვისობრივად მსგავსი ხასიათის დავას წარმოადგენს.

"ადვოკატთა შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონი, რომლითაც ხელმძღვანელობს სადისციპლინო პალატა, განსაზღვრავს ადვოკატისათვის და მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვისა და გადაწყვეტის მსგავს წესსა და პროცედურას. კერძოდ, "ადვოკატთა შესახებ" კანონის VII თავი განსაზღვრავს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველებს (კანონით გათვალისწინებულ მოვალეობათა

შეუსრულებლობა, ადვოკატთა პროფესიული კოდექსის დარღვევა), ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის უფლებამოსილება კანონით მინიჭებული აქვს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, კანონი, ასევე, განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებს, ეთიკის კომისიის მიერ სახდელის შეფარდების წესს, აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი.

ანალოგიურ წესსა და პროცედურას განსაზღვრავს "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონი მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შემთხვევაში.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმება თვისობრივად იდენტურ საქმეებს განეკუთვნება, რა დროსაც სადისციპლინო პალატა უფლებამოსილი იქნება, სსსკ-ის მე-7 მუხლიდან გამომდინარე განიხილოს ადვოკატის სადისციპლინო სამართალწარმოების საქმე. მაშინ, როცა საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 26.2., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. გ-შვილის საჩივარი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2007 წლის 11 ოქტომბრის #3039/10/07 გადაწყვეტილებაზე განსჯადობის მიხედვით განსახილველად დაექვემდებაროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.